მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 5. კვირა, 13 თებერვალი 1905 წლისა. № 5.

„მოგზაურის“ რედაქცია აცხადებს: 1) რადგანაც ჟურნალის გამოცემა ახალი პირობებით მხოლოთ **მეორე (№ 2) ნომრიდან** დაიწყო, ამიტომ ხელის მომწერლებს მხოლოთ ამ ნომრიდან ეგზავნებათ ჟურნალი და წლიური ხელისმომწერლები წლის განმავლობაში (1905 წლის 16 იანვრიდან 1906 წლის 16 იანვრამდე) მიიღებენ ორმოცდა-თორმეტ ნომერს. 2) რადგანაც მეორე ნომერი (№ 2) რედაქციაში **სრულიად აღარ მოიპოვება**, ამიტომ რედაქცია მეორეთ ბეჭდავს ამ ნომერს, რომელიც სულ ახლო ხანში დაურიგდება იმ ხელისმომწერთ, რომელთაც ხსენებული ნომერი არ მიუღიათ.

ყოველკვირეული ჟურნალი

„მოგზაური“

(წელიწადი მეხუთე—მეექვსე)

გამოდის **1905** წლის 16 იანვრიდან ვრცელი პროგრამით.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ი. ევდოშვილი, ნ. ელიავა, ნ. კალანდაძე, ის. კვიცარიძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ალ. წულუკიძე, გრ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში: ერთი წლით—**5** მან., ნახევარი წლით—**3** მან. ცალკე ნომერი—15 კაპ. ადრესის გამოცვლა—40 კაპ. წლიური ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„მოგზაურის“ რედაქციაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში—შიო ჭუჭუკაშვილთან; ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩა) და ნაძალადევში—წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.
ბათომში—ანასტასია გოგოლაშვილთან.
ბაქოში—ტერენტი წერეთელთან (ქალაქის საბჭოში).
განჯაში—ი. ევდოშვილთან.
ჟუთაისში—ის. კვიცარიძესთან (ამხანაგ. „კოლხიდა“)
ოზურგეთში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და ქ-ნ თამარ შარაშიძესთან
ლანჩხუთში—ივანე კალანდაძესთან.
ჩოხატაურში—ალექსანდრე დოლიძესთან.
სენაკში—არსენ წითლიძესთან.
სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან.
ხონში—ექიმ პ. ლ. კიკალიშვილთან.
ჭიათურაში—ირაკლი დეკანოზიშვილთან.
ზესტაფონში—სოლომონ წულაძესთან.
სად. მიხაილოვში—ივანე ომიანიძესთან.
ქ. გორში—არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში.

ჟურნალისათვის დანიშნული წერილები და ყოველგვარი კორესპონდენცია უნდა იგზავნებოდეს პირდაპირ რედაქციის სახელობაზე.—ჟურნალში დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები და მოთხრობები, რომელთა დაბეჭდვას რედაქცია ვერ სცნობს შესაძლებლათ, ზეინახება 3 თვის განმავლობაში, ხოლო სხვა წერილებისა და კორესპონდენციების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ვისაც რედაქციისაგან წერილით პასუხის მიღება სურს, უნდა წარმოადგინოს ფოსტის ხარჯი.

რედაქცია იმყოფება: ტფილისში, სიონის ქ., სახ. № 44.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ. Редакція „МОГЗАУРИ“.**

შინაარსი: თანადროული კითხვები, ფ. მახარაძისა.—ბაქოში მომხდარ ამბების გამო.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—ნაწყვეტი, ლექსი ალიონისა.—საკვირველი ამბავი, ეშმაკისა.—დამნაშავე, მოთხრ. ციონისა, თარგ. N.-სა.—ქუთათურის შენიშვნები, ისოსი.—თფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში.—საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები, თარგ. ლ. ელიავასი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—განცხადებანი.

თანადროული კითხვები.

III.

ჩვენ ზევით ვუჩვენეთ, რომ პირველ ყოფილ საზოგადოებაში არავითარი განხეთქილება არ არსებობს, რადგანაც იქ არ არის ადამიანის ადამიანის მიერ გაყვლეფა, ექსპლუატაცია; გარდა ამისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ-ყოფილ საზოგადოებაში ჩვენ ვერ ვპოულობთ იმის ნასახსაც, რასაც შემდეგში მთავრობა ანუ უფროსობა დაერქმევა. ამნაირათ, პირველ-ყოფილ საზოგადოებაში როგორც არ არის ერთი ადამიანის მეორე ადამიანის მიერ გაყვლეფა, ისე არ არის არც ერთი ადამიანის მეორესადმი დამორჩილება, დამონება, არ არის უფალი და მონა, უფროსი და ქვეშევრდომი, ბატონი და ყმა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა ადრე თუ გვიან იცვლება, მარტივი საზოგადოებრივი ურთიერთობა რთულდება, საზოგადოება თანდათან იყოფა მოწინააღმდეგე ჯგუფებათ, და ამ მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის განხეთქილება რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო იზრდება და ძლიერდება. ჩვენ შეგვიძლია დღეს გავითვალისწინოთ, თუ როგორ წარმოიდგა უფალი და მონა, უფროსი და ქვეშევრდომი, ბატონი და ყმა, თანამედროვე კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა.

საწარმოო იარაღების გამოგონებამ, ე. ი. საწარმოო ძალთა განვითარებამ, ზრდამ, როგორც მეორე წერილში გვქონდა ნათქვამი, გამოიწვია შრომის განაწილება პირველ-ყოფილ საზოგადოების წევრებს შორის. პირველ ხანებში ეს განაწილება არ იყო მაინც და მაინც საგრძნობელი, რადგანაც თვით იარაღი და საწარმოო საგნები იმ დროს მეტათ მარტივი და სადა იყო. როგორც იარაღის ხმარება, ისე საგნების წარმოება-გაკეთება ჯერ კიდევ არ თხოულობდა თავის სიმარტივის გამო თითქმის არავითარ მომზადებას; მაგრამ რაც ხანი გადიოდა, საწარმოო იარაღი რთულდებოდა, რთულდებოდა ამიტომ წარმოების საგნებიც; ამიტომ როგორც იარაღის ხმარებისათვის, ისე ნივთების გაკეთებისთვის საჭირო იყო მომზადება, გამოცდილება. ამიტომ ჩვენ კიდევ უძველეს დროში, ისტორიის წინა ხანებში, ვამჩნევთ ერთი მხრით ხელოსნებს, რომლებიც დახელოვნებული არიან სხვადასხვა საგნების თუ იარაღების გაკეთებაში და მეორე მხრით მიწის მუშებს. ასეთ საზოგადოებაში შრომის განაწილებას უკვე საკმარისათ დიდი ნაბიჯი აქვს გადადგმული, რაც პირდაპირი შედეგია საწარმოო ძალთა

ზრდა-განვითარებისა. მაგრამ საწარმოვო ძალთა განვითარება ხომ ერთ წერტილზე არ ჩერდება: უბრალო, მარტივი იარაღის გამოგონება იწვევს უფრო რთულ და გაუმჯობესებულ იარაღის გამოგონებას, და ამასთან ერთათ შრომის განაწილება საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო საგრძნობელი ხდება. საწარმოვო იარაღების გამოგონება და შრომის ეკონომიური განაწილება თემში ანაყოფიერებს შრომას; ახლა ადამიანს ბევრათ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვინემ მაშინ, როცა ასეთი განაწილება სრულებით არ იყო. შრომის ეკონომიურათ განაწილება თემის წევრებში უკვე ქმნის ნიადაგს და ამზადებს იმ პირობებს, რომლების საშუალებით თემის წევრს გაუადვილდება და შეძლება მიეცემა მეორე წევრი შეავიწროვოს, მუქთათ ისარგებლოს მისი შრომის ნაწარმოებით და გადააქციოს იგი თავის მონა-მორჩილათ. მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენ თავისუფალ თემში ვართ. აქ შრომა განაწილებულია: ერთი აკეთებს სადურგლო საქმეს, მეორე მჭედლობს, მესამე მწყემსია, მეოთხე მიწის მუშა, და ყველანი იკმაყოფილებენ თავის მოთხოვნილებებს ერთი ერთმანეთის დახმარებით: რაც ერთს აკლია, იგი სხვას აქვს და პირდაპირ ნაწარმოებზე ხდება გაცვლა-გამოცვლა. ასეთ თემს ყავს განსაკუთრებული მემუსიკეც, მომღერალი, რომელიც აკმაყოფილებს თემის ესტეტიურ მოთხოვნილებას, და თემი კი თავის მხრით აწვდის მას საზრდოს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მაშასადამე, აქ ჩვენ ვერ ვხედავთ თემის წევრებში განხეთქილებას, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ჯგუფებს. ეს არის თავისუფალი თემი, რომელშიაც ყოველგვარ საერთო საქმეს განაგებენ თემის მიერ არჩეული მოხუცი, გამოცდილი და საპატიო პირები. ამნაირათ წარმოების იარაღთა გამოგონებით და გაუმჯობესობის წყალობით რაც იმავე დროს საწარმოვო ძალთა ზრდა-განვითარებას ნიშნავს, შრომის ეკონომიურათ განვითარებასთან ერთათ თემში, ფეხს იკიდებს თემის ნაწილ-ნაწილათ დაყოფა: ერთი მხრით ჩნდებიან ხელოსნები, რომლებიც ამზადებენ თემისთვის სხვადასხვა სამუშაო იარაღს და საცხოვრებელ სადგომებს და სანადირო იარაღებს, და მეორე მხრით მიწის მუშები და მწყესები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებით კვებავენ და ასაზრდოებენ თემს. ამ ორ ნაწილს შორის არ არსებობს არავითარი განხეთქილება, ისინი ერმანეთში პირდაპირ ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლით იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს. ეს გაცვლა არ არის აშენებული იმაზე, რომ ნაკლები შრომით მეტი საღირალი შეიძინო, ე. ი. სხვისი შრომით ისარგებლო, ძალა დაატანო სხვას, რომ მან მთელი დღის ნაწარმოები ნახევარი დღის ნაწარმოებში მოგცეს; ერთი სიტყვით აქ ადგილი არა აქვს ექსპლოატაციას, ზედ-მეტი ღირებულების შეძენას, მოგებას. აქ არ არის მდიდარი და ღარიბი, ყველანი ერთნაირათ მდიდრები და ღარიბნი არიან. ყოველგვარ საქმეს აქ აწესრიგებენ სათემო კრებაზე, რომელზედაც ყველანი ღებულობენ მონაწილეობას, პირველ ხანებში ქალებიც, რომლებიც მხოლოთ შემდეგ კარგავენ ამ უფლებას. მაგრამ ამ თავისუფალ თემებს მუდმივი შეტაკება და ომი უხდება მახლობელ, მეზობელ თემებთან. მისი კეთილდღეობა იმაზეა დამყარებული, მოიგერებს იგი გარეშე მტრების თავდასხმას და გაუმკლავდება იმათ მიერ აკლებას თუ არა. აქ ყურადღების ღირსი არის შემდეგი გარემოება: ყველა თემების განვითარება, წინსვლა, ერნაირათ როდი ხდება. სხვადასხვა მიზეზების გამო, რომლების აღნუსხვა აქ ჩვენ შორს წაგვიყვანდა; ზოგი თემი უფრო ადრე გამოდის ველურ მდგომარეობიდან, ზოგი უფრო გვიან, ზოგიც დიდ ხანს რჩება პირველყოფილ მდგომარეობაში. ასე რომ ახლო-მახლო მცხოვრები თემები ერთ და იმავე დროს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან. მაშინ როცა ერთ თემს თარეშობისათვის და წანწალისთვის დიდი ხანია დაუნებებია თავი და მიწის შემუშავებას და ან საქონლის მოშენებას შედგომიან განსაზღვრულ ტერიტორიაზე, იმის მეზობლათ ცხოვრობს ისეთი თემი, რომელსაც განსაზღვრული საბინადრო ადგილი სრულებით არ აქვს, რომელიც მუდამ იცვლის ადგილს და ნადირობით და მეზობელ თემის აკლებით იკვებება. ამიტომ აშკარაა, რომ მიწათმომქმედ თემებმა უნდა უეჭველათ აიცილონ თავიდან ამ მოთარეშე თემების თავდასხმა, თუ რომ თავისი არსებობა სურთ შეინახონ. ამიტომ აუცილებელი ხდება გარეშე მტრების მოსაგერებელი ორგანიზაციის შექმნა. რადგანაც იმ დროს თავდასხმა და აკლება სრულებით შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ მუდმივი, ამიტომ მიწათმომქმედმა თემებმა ან სრულებით უნდა გაანებონ თავი მიწის მუშაობას და ისევ თარეშობას მიყონ ხელი, ან და უნდა გამოიყონ თავის წრიდან რამდენიმე კაცი და იმათ მიანდონ გარეშე მტრების თავდასხმის მოგერება და სამაგიეროთ იმათ აძლიონ საზრდო. თემთა უმეტესობა, ეჭვი არაა, ამ უკანასკნელ გზას უნდა დადგომოდა და დაადგა კიდევაც. ასეთმა თემებმა გამოიყვეს თავისიანებიდან რამდენიმე კაცი და იმათ მიანდვეს მეზობელი თემების თავდასხმის მოგერება და ჭკუის სწავლებაც, რომ ასეთი თავდასხმა იმათ იაფათ არ დაუჯდებოდათ. ასეთ პირებს და განსაკუთრებით იმათ მეთაურს, ბელადს, თემი ირჩევს გამოცდილ, მხნე და გაბედულ წევრთაგან. რაც დრო გადის, ეს არჩევა საქმით, სინამდვილეში, კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ისე ხდება, რომ მუდამ თითქმის ერთ და იმავე პირებს ირჩევენ ამ მიზნით. ამნაირათ ჩნდება და თანდათან ვითარდება თემში განსაკუთრებული ჯგუფი ანუ კლასი, რომლის დანიშნულება ის არის რომ, მტრების თავდასხმა მოიგერიონ. მაგრამ დრო გადის, და ამ მოგერებას ისინი აღარ ჯერდებიან, თითონ ესხმიან სხვა თემებს, იმორჩილებენ, ატყვევებენ, ძარცვავენ და ართმევენ სარჩო საბადებელს. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში ამ ნადავლს ისინი მთელ თემს უნაწილებენ, მაგრამ შემდეგში ეს ჩვეულება თანდათან ისპობა—ნადავლი მხოლოთ რამდენიმე პირის საკუთრება ხდება, უფრო კი იმის, რომელიც მეთაურის როლს ასრულებს. ნადავლის დიდ ნაწილს იგი თავისთვის იტოვებს და მხოლოთ მცირე ნაწილს უთმობს დანარჩენ მეომრებს. აქედან იწყება თემის ბელადის, ანუ მეომრების მეთაურის გავლენა როგორც მეომრებზე, ისე მთელ თემზე. მეომრები ხდებიან თავიანთ მეთაურის ბრძანების აღმასრულებელნი და როცა გარემოება მოითხოვს, უკანასკნელს შეძლება ექნება იმათი ძალა თვით თემის წევრების წინააღმდეგ მოიხმაროს. ეს გარემოება დიდ ხანს აღარ გვაღლიანებს.

თემების ურთიერთ თავდასხმის და შეტაკების დროს ხშირათ ადამიანებიც უვარდებიან ერთი მეორეს ტყვეებათ. პირველ ხანებშიაც ხდებოდა ეს ასე, მაგრამ მაშინ ტყვეებს ან ხოცავდენ და იმათ ხორცს ჭამდენ, ან და სრულებით ათავისუფლებდენ, რადგანაც ისე იმათი შენახვა არავის ხელს არ აძლევდა; იმ დროს ადამიანის შრომა არ იყო იმდენათ ნაყოფიერი, რომ იმას თავის მუშაობით თავიც დაერჩინა და სხვაც გამოეკვება. ეს იმას ამტკიცებს, რომ პირველ ხანებში ტყვეების შენახვას ხელს უშლიდა საწარმოვო ძალთა განუვითარებლობა. მაგრამ გარემოება შეიცვალა: წარმოების იარაღთა გამოგონებამ, ე. ი. საწარმოვო ძალთა განვითარებამ, გამოიწვია ის, რომ ახლა ერთ კაცს ბევრათ იმაზე მეტი შეუძლია გააკეთოს, რაც მის შენახვას უნდება. პირუტყვის მოშენებაც ასეა: იგი ბევრათ იმაზე მეტს აძლევს მის პატრონს, რაც მისი შენახვა ღირს. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო, რომ ადამიანი უბრალო პირუტყვის მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. და

აი სწორეთ ეს მოხდა. იმის მაგივრათ, რომ ტყვეები დაეხოცათ, უფრო სასარგებლოთ დაინახეს ისინი შრომის უღელში ჩაებათ. ამნაირათ მიეცა დასაწყისი **მონობას**, რომელიც ერთ დროს უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა მთელი საზოგადოებრივი წესწყობილებისას და რომელიც სავსებით დღემდისაც არ აღმოფხვრილა საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან. მონა იგივე პირუტყვია, მხოლოთ ადამიანის სახით: მას ამუშავებენ, როგორც პირუტყვს, და იმავე დროს აძლევენ საკვებ მასალას, რომ უქმელი არ მოკვდეს. მისი შრომის ნაყოფს სავსებით ისაკუთრებს მეპატრონე. ამნაირათ ჩვენ მივახწიეთ იმ სათავესთან, საიდანაც იწყება ადამიანთა შორის უთანასწორობა, ჩნდება განხეთქილება, ერთი ადამიანისაგან მეორე ადამიანის დაჩაგვრა. ეს მიყვება ისტორიას წითელი ზოლებით; მისი პირველი საფეხური არის მონობა, უკანასკნელი კი დაქირავებული შრომა თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების დროს.

ახლა ვიკითხოთ, თუ ვინ არიან ისინი, ვინც პირველათ დაეპატრონენ მონების შრომას, ვინ შეიქნა პირველი მჩაგვრელი და შემავიწროებელი ადამიანისა? რაც კი ამის შესახებ ჩვენ გვაქვს, ყოველივე მოწმობს, რომ ასეთები იყვენ უპირველეს ყოვლისა ისინი, ვისაც თემის დაცვა ჭირდა მინდობილი, ვინც იგერებდენ მტრების თავდასხმას და თავის მხრით ვინც სხვებს ეცემოდენ და იკლებდენ. ერთხელ შემოღებული მონობა საოცარი სისწრაფით ვითარდება, იზრდება. და აი საზოგადოებაში ჩნდება განხეთქილება, რომელსაც სარჩულათ უდევს ერთი მხრით ადამიანის დაჩაგვრა და დამონება და მეორე მხრით ქონებრივი უთანასწორობა. მონების შრომით სარგებლობა საზოგადოების უმცირესობას ხელში უგდებს დიდ ძალ სიმდიდრეს, რომელსაც იგი ხმარობს თავის გავლენის და ბატონობის გასაერცელებლათ და განსამტკიცებლათ. თემის მეთაურები, თემის მიერვე არჩეულები, რომლებიც წინეთ მისი მორჩილი და ერთგული იყვენ და თემის საერთო ინტერესებს იცავდენ, ახლა ფეხ ქვეშ თელავენ თემის უფლებებს, და როცა მათი ინტერესები მოითხოვს ავიწროებენ თემს ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ეს შევიწროება ახლა გაადვილებულია, რადგანაც იმათ დახელოვნებული მეომრები ყავთ თავის ხელქვეშ; მონების მუქთი შრომა საშუალებას აძლევთ, რომ იმათ თემის წინაშე თავი არ მოიხაროონ. ახლა ამათ ადვილათ შეუძლიათ, როგორც გარეშე მტრების დარბევა და აკლება, ისე თავისი თემის წევრების დამორჩილება და მათზე გაბატონება. ახლა კი ეს ბელადები სრულებით დამოუკიდებლათ მოქმედებენ; ომი მათთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თავისი გავლენის და ძლიერების განსამტკიცებლათ. ისინი იმორჩილებენ ახლო-მახლო თემებს და ამასთანავე ამრავლებენ თავის მონების რიცხვს, და ამით თავის ქონებას და ნივთიერ შეძლებას ადიდებენ. ისინი ახლა აღარ არიან უბრალო მეთაურები, ისინი უკვე მეტათ გამორჩენილი პირები შეიქნენ; მათ გარს ახვევია მთელი ამალა. ვისლას შეუძლია ახლა იმათი დათხოვა, თანამდებობიდან გადაყენება? თემს ახლა ამის აღარაფერი ეკითხვის. ხალხი ჯერ ერთი ან რამდენიმე წლით ირჩევდა თავის მეთაურებს, შემდეგ—სიკვდილამდის, ბოლოს კი ეს უფლება სრულიად დაკარგა და მეთაურებმა თითონ მოინდომეს თავის მოვალეობის გადაცემა თავისივე შვილებზე. ეს კი ძირითადი ცვლილება იყო; იგი არ მომხდარა ერბაშათ, იგი ნელნელა ხდებოდა. ამ ხანაში კი წინანდელი თავისუფალი თემი გამქრალია; მისი ადგილი უჭირავს საზოგადოებას, რომელშიაც მოქმედებენ სხვადასხვა ჯგუფები და რომელიც დამორჩილებული ყავს ერთ ან რამდენიმე პირს მთავრის ან მეფის სახელით. რადგანაც ასეთი საზოგადოების ჯგუფებათ დაყოფა და მისი არსებობა დაფუძნებულია უმთავრესათ მონების მუქთ შრომაზე, ამიტომ იქ არსებულ წესწყობილებას მონური ეწოდება. ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ იმავე საზოგადოებაში სრულებით აღმოფხვრილი ყოფილიყვენ თავისუფალი მუშაკები. მონური წესწყობილება მხოლოთ იმას აღნიშნავს, რომ უმთავრეს ძარღვს ეკონომიური ცხოვრებისას შეადგენდა მონების შრომა. მონობა შეიცავს დიდ ხანას; იგი მოდებული იყო მთელ ძველ ქვეყანას; იმაზევე იყო დამყარებული ძველი ბერძნების და რომაელების ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც ასე ცუდათ დაბოლოვდა. როგორ და რა მიზეზებმა გამოიწვია მონობის დამხობა და რა მოევლინა კაცობრიობას იმის მაგივრათ?—ამის გამოკვევას შემდეგ ვეცდებით.

ფ. მახარაძე.

ბაქოში მომხდარ ამბების გამო.

მეტათ საზარელი და აღმაშფოთებელი ამბები ხდებოდა ბაქოსა და მის ახლო-მახლო მიდამოებში, საბუნჩა-ბალახანაში, მთელი ხუთი დღის განმავლობაში, 6 თებერვლიდან 10-მდე. ჯერ კიდევ სანამ გაზეთებიდან რასმეს გავიგებდით, ადგილობრივ საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, რომ ბაქოში მაჰმადიანები და სომხები ერთმანეთს ხოცავენ და ჟლეტენო. არავინ არ იცოდა, თუ რა იყო ამ საშინელი ამბის მიზეზი. ყველასთვის მოულოდნელი იყო ასეთი ამბის გაგონება, თუმცა კიშინიოვისა და გომელის ამბების შემდეგ ჩვენთვის გასაკვირველი არაფერი არ უნდა იყოს. დღეს რამდენათაც ვიცით გაზეთებიდან, ბაქოში მომხდარ ადამიანთა ჟლეტა-ხოცვის საბაბი ერთი მაჰმადიანი ტუსაღის სიკვდილი ყოფილა სომეხ სალდათის მიერ. ეს ტუსაღი გამომძიებლიდან სატუსაღოში მიყვადათ, გზაზე გაქცევა მოუნდომებია და სალდათს მოუკლავს. ამის შემდეგ ერთი მისი ნათესავთაგანი მისულა სომხის საყდარის ეზოში და მოუკლავს ეს სალდათი. სომხებს დაუჭერიათ მკვლელი და პოლიციისთვის გადაუციათ, მაგრამ პოლიციას იქვე გაუშვია იგი. მკვლელი ხელ-ახლა დაბრუნებულა ეკლესიის ეზოში და სამჯერ უსვრია რევოლვერი. ამის დანახვაზე სომხებსაც ამოუღიათ რევოლვერი და იქვე მოუკლავთ იგი. აი ამით დაიწყო ეს საშინელი ჟლეტა-ხოცვა და შური ძიება. შეუძლებელია იმის აწერა, რაც ბაქოში რამდენიმე დღის განმავლობაში ხდებოდა—უცნობი და ნაცნობი, ვინ იცის რისთვის ერთი ერთმანეთს ხოცავდენ, კლავდენ, ჟლეტდენ, რითაც კი შეიძლებოდა, თოფით, რევოლვერით, დანით. ადამიანის გამხეცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ქუჩები მოკლულებით და დაჭრილებით მოიფინა და ადამიანების სისხლით შეიღება! არ არჩევდენ არც დიდს და არც პატარას, არც ქალს და არც კაცს, ვინც მოხვდებოდათ ყველას განურჩეველათ ხოცავდენ. ყოველგვარი წარმოება შეწყდა, ქუჩაში ველარავინ გამოდიოდა. ყველა შიშის ზარს შეეპყრო.—ახლა ვიკითხოთ, განა შესაძლებელია უბრალო მკვლელობას, ერთი კაცის შურისძიებას, ასეთი საყოველთაო სისხლის ღვრა, ასეთი საყოველთაო შურისძიება გამოეწვია? ეს მეტათ დამაფიქრებელი ამბავია! როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ერთათ მცხოვრებ ერთა შუა ასეთი სიძულვილი, ასეთი უსაზღვრო მტრობა ყოფილა დამარხული! თუ ეს ასეა, და ამაში დღეის შემდეგ არავითარი ეჭვი არ უნდა შევიტანოთ, რაღაფერ შეიძლება, რომ ეს ხალხნი, გამსჭვალულნი უსაზღვრო სიძულვილით და მტრობით ერთიმეორის მიმართ, ერთათ ცხოვრობდენ, ერთ და იმავე საზოგადოების წევრებათ იყვენ? როცა ჩვენ გვეუბნებიან და გვარწმუნებენ, რომ დღევანდელი საზოგადოება საუკეთესო ფორმაა საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომ აქ ადამიანის

პიროვნება და მისი ქონება უზრუნველყოფილია, რომ საზოგადოებრივი მშვიდობიანობა მკვიდრ საფუძველზეა დამყარებული,—ჩვენ სრული უფლება გვაქვს ყოველივე ამნაირი ღალადი ყალბათ ჩავთვალოთ, და მწარე დაცინვათ მივიღოთ. არა, ის საზოგადოება, ის წესწყობილება, რომელიც თავის გულში აღვიებს და იმარხავს ასეთ სიძულვილს, ასეთ მტრობას ურთიერთ წევრებისადმი, იგი საზოგადოება ყალბ საფუძველზეა დაყრდნობილი და ადრე იქნება თუ გვიან იგი უნდა დაინგრეს და სულ სხვა საფუძველზე უნდა აშენდეს, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ამის მსგავსი რამ.—მეორე მხრით, ბაქოს ისტორიაში გასაკვირალია მეორე მხარე. რას აკეთებდა ამ საზარელი ამბების დროს ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელსაც მინდობილი აქვს მცხოვრებთა დაცვა? იმ დროს როცა მისი დახმარება ყველაზე უფრო საჭირო იყო, იგი განზე გამდგარა და გამხეცებული ხალხი ერთმანეთისთვის მიუშვია: ხოცეთ და ჟლიტეთ ერმანეთი, ეს ჩვენი საქმე არ არისო! ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციას და ჯარის კაცებს უთქვამთ: „ჩვენ ნაბრძანები არა გვაქვს ამაში ჩაერიოთო“ („Нов. Обозр.“ № 26); ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციის მოხელეებს ფულიც აუღიათ შემწეობის აღმოჩენისათვის (იქვე), მაშინ როცა კანონით ეს სასტიკათ აკრძალულია, რადგანაც პოლიცია ამ შემთხვევაში მოვალეა შემწეობა აღმოუჩინოს. თუ დაუკვირდები იმას, რაც დღეს ჩვენ ქვეყანაში ხდება, ბაქოში მომხდარ ამბების შემდეგ ყველა აშკარათ უნდა მიხვდეს, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი უკმაყოფილოება შემთხვევითი და წარმავალი როდია, არამედ იგი გამოწვეულია იმ ღრმა იარებით, რომლებიც დღევანდელ საზოგადოებას აჩირქიანებს.

სხვა და სხვა ამბები.

უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს: „ეხლანდელ ომის დროს იაპონიასთან წითელი ჯვარი დაჭრილ და ავათმყოფ მეომართა საშველათ დიდ ხარჯს თხთულობს. ეხლა წითელ ჯვრის მოქმედება იმდენათ გაფართოვდა, რომ გაცილებით მეტი ხარჯი მოუნდა, ვიდრე სხვა ომების დროს უნდებოდა ხოლმე. საჭიროთ ვთვლით წითელ ჯვარს დავეხმაროთ, მაგრამ ისე კი, რომ სახემწიფო ხაზინის თანხას ხელი არ ეხლოს და ამიტომ ვბრძანებთ, გამოიცეს დროებითი წესი თანახმათ ჩვენის ბრძანებისა 1900 წ. 28 ივლისის თარიღისა და დაწესდეს; 1) ეხლანდელ ომის გათავებამდე წითელ ჯვრის სასარგებლოთ გადიდდეს საზღვარგარეთის პასპორტის ფასი 10 მანეთამდე; 2) საზღვარგარეთიდგან დაბრუნებულ იმ პირთ, რომელთაც რუსეთის საელჩოებისა და საკონსულოებისაგან აქვთ მიცემული პასპორტი, გამოერთვათ ხუთ-ხუთი მანეთი, თუ ამ პასპორტს ვადა გასული აქვს. და 3) იმ უცხოელთ, რომელნიც რუსეთიდან რუსული პასპორტებით მიდიან, თითო ნახევარ წლის პასპორტში გამოერთვათ წითელ ჯვრის სასარგებლოთ ხუთ-ხუთი მანეთი. სენატი ამის შესახებ შესაფერს განკარგულებას მოახდენს“.

პეტერბურგიდან ცნობა მოვიდაო მის შესახებ, რომ იქ მომხდარა პირველი სხდომა იმ საგანგებო რჩევისა, რომელსაც მინდობილი აქვს ბეჭდის სიტყვის ახალ წესების პროექტის შედგენა და რომლის თავჯდომარე კობეკოა. რჩევას ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ერთხმათ მიუღია, რომ დროგამოშვებითი გამოცემები როგორც სატახტო ქალაქებში, ისე პროვინციაშიაც, უცენზურო გამოიცენ და ჰასუხის გება მათი მხოლოთ სასამართლოს წინაშე იქნება.

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია: „12 იანვარს, ბაქოში, როდესაც ტუსაღი ბალა-აღა-მეშედი-მამედ-რიზა-ოღლი, რომელსაც მკვლელობა ბრალდებოდა, გამომძიებლიდან ბრუნდებოდა, მოიწადინა გაქცევა. ტუსაღს თან ახლდენ სალიანის მე-262 პოლკის სალდათები ნიკოლოზ არუთინიანცი დაკარაპეტ ბაბახანოვი. როდესაც ზემოხსენებული ტუსაღი გაიქცა, სალდათები გამოუდგნენ და უსროლელათ რამდენსამე ადგილას დასჭრეს, რის გამოც ტუსაღი გზაში მოკვდა. ამის შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ხმა გავარდა, ძალათ მოკლეს ტუსაღიო. ბაბა-აღის ძმამ ქერბალიაფარუხმა ფორმალური თხოვნა გადასცა ბაქოს გუბერნატორს; ამის გამო ამ ჟამათ გამოძიებაც წარმოებს. მაგრამ ვიდრე საქმის ნამდვილი ვითარება გამოიკვლეოდა, 6 თებერვალს მომხდარ ამბის გამო ქ. ბაქოში, მოედანზე, ორ ადგილობრივ მცხოვრებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც ერთი მძიმეთ დაიჭრა. ამან მცხოვრებთა შორის მოძრაობა გამოიწვია, რასაც ძალმომრეობა მოყვა. სულ მოკლულ და დაჭრილ იქმნა 35 კაცი. 7 თებერვალს საქმე გამწვავდა და შეიარაღებული თავდასხმა განაგრძეს. წესიერებისა და მშვიდობიანობის აღსადგენათ ბაქოში მიღებულ იქნა საჭირო ზომები“.

თფილისის სამოსამართლო პალატის განკარგულებით 23 იანვარს თფილისში გაფიცულ მუშების მანიფესტაციის დროს მომხდარ უწესოებათა გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს რიბინსკის. ადმინისტრაციამ იმ დღეს სამოცზე მეტი კაცი დააპატიმრა. ბ-ნმა რიბინსკიმ ოცზე მეტი დაპატიმრებულ თაგანი, როგორც სრულიად უდანაშაულონი, უკვე გაანთავისუფლა საპყრობილედან.

როგორც გაზ „ცნობის ფურცელი“ გადმოგვცემს, ქუთათურმა ფარმაცევტებმა, სხვათა შორის, შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინეს მეაფთიაქეებს: შემოღებულ იქმნას აფთიაქში მოსამსახურე პირთა დღეში ორჯერ შეცვლა, ფარმაცევტებს მიეცეთ თვეში ბინისა და სასმელ-საჭმლის ფასათ 30 მანეთი; აფთიაქის მოწაფეებს მიეცეთ ჯამაგირათ პირველ წელს თვეში 10 მან., მეორე წელს—15 მანეთი და მესამე წელს—25 მანეთი; პროვიზორის თანაშემწეთ მიეცეთ პირველ წელს თვეში 45 მანეთი, მეორე წელს—50 მანეთი და მესამეს—55 მან.; აფთიაქში არ უნდა იღებდნენ შტატს გარეშე მოსამსახურეთ უჯამაგიროთ; ავადმყოფობის დროს მოსამსახურეებს ერთი თვის განმავლობაში ეძლიოთ სრული ჯამაგირი და ადგილიც არ დაეკარგოთ; მოსამსახურეს დათხოვნის დროს უნდა მიეცეს ერთი თვის ჯამაგირი და მასთან ერთი თვით ადრეც უნდა გამოუცხადონ დათხოვნა და სხვა. ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა გამო სხდომა ჰქონდა ქალაქის საეფთიაქო კომისიას, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ კერძო მეაფთიაქენიც. კომისიამ მეაფთიაქეებთან ეროათ შესაძლებლათა ცნო სრულიად დაეკმაყოფილებინა ფარმაცევტების მოთხოვნილებანი, გარდა მეორე მუხლისა, სადაც ისინი თხოულობდენ ბინისა და სასმელ-საჭმლის ფასათ თვეში 30 მანეთს; ნაცვლათ 30 მანეთისა შესაძლებლათ სცნეს მისცენ თვეში 25 მანეთი. ორი-სამი დღის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, ფარმაცევტები ისევ დაუბრუნდენ აფთიაქებს.

7 თებერვალს თფილისის მცხოვრებლებმა ქალაქის თავს საბჭოში განსახილველათ კოლლექტიური განცხადება წარუდგინეს, რომელზედაც რამდენიმე ათას კაცს უწერია ხელი. ამ განცხადებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ დღევანდელ პირობებში ცხოვრება აუტანელი ხდება, რადგანაც კა-

ნონიერება და წესი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა ბიუროკრატიის წარმომადგენელთა მიერ. მცხოვრებნი თხოულობენ, რომ ქალაქის საბჭომ რამე იღონოს ქალაქში უწესოების მოსასპობათ. საკვირველია, რომ მოქალაქენი საბჭოსაგან მოელიან ხსნას, როცა ხსნა მხოლოთ იმათგან შეიძლება, ვისაც ძალა აქვს, და ძალა კი ყოველთვის თვით მცხოვრებლების ხელშია. ვინემ ქალაქის საბჭოს დარბაზში.

ქუთაისის სამკურნალო საზოგადოების კრებას, 18 იანვარს სხდომაზე, დაუდგენია თანაგრძნობითი წერილი გაეგზავნოს ექიმ ნ. გ. ჭიჭინაძეს, რომელიც მის უნებურათ მოშორებია ქუთაისში მოღვაწეობას. მაგრამ ოქმის შემდგენელს „გულმავიწყობა“ გამოუჩენია და ეს განაჩენი ოქმში არ შეუტანია, ასე რომ შემდეგ სხდომაზე, რომელიც 25 იანვარს მოხდა, კრებას ხელახლა მოუთხოვია ამ დადგენილების განმეორება.

გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, 31 იანვარს, საღამოს $9^1/_2$ საათზე, სოფ. იგდირში სომეხთა რევოლიუციონერებს მოუკლავთ პოდესაული გნუტოვი. მკვლელების შესაპყრობათ სასტიკი ზომები მიუღიათ.

თელავის მაზრის უფროსს უთხოვნია თფილისის გუბერნატორისთვის გვიშუამდგომლეთ საქართველოს ექსარხოსისა და სომეხთა სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ თელავის მაზრაში ეკლესიების სამრეკლოები დაკეტონ და გასაღებები მღვდლებს ჩააბარონ, რადგანაც ამ ბოლო დროს, როცა აღელვებულ ხალხს თავის მოყრა სურს მთავრობის საწინააღმდეგო ყრილობის მოსაწვევათ, სამრეკლოებზე ადიან და ზარებსა რეკენო. ეს გარემოება თურმე ძლიერ ხელს უშლის პოლიციას თავმოყრილ ხალხის გასაფანტავათ.

საშინაო საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზეთებს „ნაშა ჟიზნ“ და „ნაში დნი“ გამოეცხადა მესამე გაფრთხილება და შეჩერებულ იქნენ სამი თვის ვადით.

თფილისის გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ ცნობილ პალმს თავის გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ ბათუმიდან სხვაგან გადააქვსო. როგორც ჩვენ ბათუმიდან გვწერენ, ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ასოთ ამწყობებს კატეგორიული უარი განუცხადებიათ ხსენებულ გაზეთის აწყობა-დაბეჭდვაზე. ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელს პალმს ყოველი ძალღონე უხმარია განეგრძო გაზეთის გამოცემა, მარა ვერას გზით ვერ მოუხერხებია. ამის გამო ბ-ნი პალმი თურმე ძალაუნებურათ გაზეთის გამოცემას თავს ანებებს და ბათუმიდან წასვლას აპირებს. გაზეთზე ხელის მომწერთა შორის დიდი მღელვარებაა, რადგან ბ-ნი პალმი სდუმს და უკან ფულის დაბრუნების შესახებ არას აცხადებს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას რუსეთის ყველა რკინის გზის გამგეობისათვის უცნობებია, რომ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ მივიღებთ საქონელს გასაგზავნათ ყვირილა-ბათუმსა, სამტრედია-ფოთსა, რიონ-ტყიბულასა და შორაპან საჩხერეშიო. რუსეთის სხვა გზებზედაც შეწყდა საქონლის გაგზავნა, მაგ. პრივისლიანისა, ნიკოლაევისა და სხვებზე.

გაზ. „ახალ მიმოხ.-ში“ წერია: დაბა ჭიათურაში, 1 თებერვალს, მოუკლავთ მარგანეცის წვრილ მრეწველთაგანი ნ. ჩხეიძე, რომელიც შარშან უმთავრეს მოწამეთ იყო ჭიათურაში მომხდარ მუშების არეულობის საქმის გარჩევის დროს და რომელმაც გასცა ისინი, ვინც არეულობაში მონაწილეობას იღებდენ.

ქალ. ოზურგეთში 3 თებერვალს უნდა გახსნილიყო საოლქო სასამართლოს სესია, მაგრამ სესიის გახსნა შეჩერდა. ამბობენ, რომ ვითომც პოლიციას შეეტყობინებიოს სასამართლოსთვის, რომ ოზურგეთში მისი მისვლა საშიშიაო. ხმა დადის, რომ ოზურგეთის მაზრის პოლიცია სულ ერთიანათ სამსახურს თავს ანებებს; სუფსის ნაწილის პრისტავს ქავთარაძეს უკვე კიდევაც დაუნებებია თავი სამსახურისთვის. 3 თებერვალს ლანჩხუთის პრისტავის კვაშალის სახლისთვის 37 ჯერ დაუხლიათ თოფი, თუმც შიგ მყოფთათვის ზარალი არაფერი მიუყენებიათ.

იმავე გაზეთის სიტყვით, ამას წინათ დაპატიმრებულ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების კასირის ს. კილაძის მაგივრათ დროებით მიუწვევიათ ბექაია, მაგრამ მას ამაზე უარი განუცხადებია.

კორესპონდენცია.

ქალ. ფოთი. 19 იანვარს რუსეთისა და რუსის სამხედრო სამხედრო საზოგადოების ადგილობრივ კანტორებში მოხელეთა მიერ უოველგვარ საკანტორო საქმეთა წარმოება შეწუვეტილ იქნა. ხალხის მატარებელი სუფსტო გემები რუსეთისაკენ ისე გაემგზავრენ, რომ არც ერთი ბილეთი არ გაუიდულა, აგრეთვე საქონლით დატვირთული გემები უძრავად დგანან რეიდზე, რადგანაც საქონლის ამნუსხველი და მიმღები მოხელენი არსად ჩანდენ და ისე კი გემების დატვირთვა ან გადმოტვირთვა უოველად შეუძლებელია. გაფიცულთა რიცხვი ასს კაცს აღემატება, რომელთა მომეტებულ ნაწილს ეგრეთ წოდებული „ინტელიგენტ-პროფესიონერები“ შეადგენენ. გაფიცვის მიზეზი ის ანორმალური საქმეთა ვითარებაა, რომელსაც ამ თვითვე ადგილი ჰქონდა და აქვს დღესაც კერძო კანტორებში და განსაკუთრებით—საზღვაოსნო სააგენტოებში, სადაც მუშაობა წარმოების დღეში თითქმის 16—18 საათი და ერთს მოხელეს ხშირათ სამი და ოთხი კაცის გასაკეთებელი აწევს კისერზე. ასე განსაკუთრებული ამ კანტორებში მუშაობა კვირა დღეობითაც კი წარმოების და კანტორაში მასმასხურე ბიჭებს, როგორც პორტში საქონლის მიმღებთ, კვირაში ოთხი დამე აქვთ უძილო და აუტანელ შრომაში გასატარებელი; მოკლეთ—უველა საზღვაოსნო კანტორის მოხელეთა მდგომარეობა ბევრათ უფრო უარესია, ვიდრე მძიმე კურტნის ქვეშ რკინიგზით მოხრილ მუშისა, ამ უკანასკნელს თავის ნებაზე ხანდახან შესვენება მაინც შეუძლია. მკითხველი, უეჭველია იკითხავს, რას იღებენ გასაჭირველად საკანტორო მოხელენი ასეთის მძიმეს რომ საკვირკო შრომისათვის და შესაფერისათ უფასდებათ თუ არა შრომა? საუბედუროთ, დაბეჯითებით შეიძლებიან ვთქვა—არა და ამ მხრივ არა მგონია რუსეთის რომელიმე კერძო დაწესებულებაში ან ქარხანაში სუფევდეს ისეთი მტირე ჯაშაგირი, როგორც უკანასკნელ დროიდან მოკიდებული დღემდე სუფევს კანურჩევლათ სულეველა საზღვაოსნო კანტორებში. ვინ არ იცის, რომ ცხოვრება გართულდა და გაძნელდა, საჭირბელი მოთხოვნილებანი დღითი დღე იზრდება, ათას გვარი ბირდაბირი და არა ბირდაბირი გადასახადები მატულობენ და საზღვაოსნო კანტორებში მომუშავე მოხელეთა სვე-ბედი კი ოდესღაც „მას ყმას შინა“ შემუშავებულ ინსტრუქცია—წესდებით ისახდგრება.

დღეს მარტო რუსის საზოგადოება რომ აიდოთ 120 დიდი და პატარა გემი უკვს, წლიური მოგება მილიონ მანეთს აღემატება და, საფიქრებელია, რომ ამ დიად საქმის სათავეში მდგომნი (იგულისხმეთ განვითარებული ბიჭები) ოდესმე მაინც იფიქრებდენ თავიანთ მოხელეთა აუტანელ მდგომარეობაზე და რაიმე დონის ძიე-

ბას მაინც მიიღებდენ ამ მდგომარეობის განსაკარგებლად. მცირე ჯამაგირს თქვენი ქირა წაუღია, როგორც იქნება კაცი გაუძღებს კიდევ, მაგრამ მაკარი ის არის, რომ ეს ჯამაგირიც კი არ რიგდება სრულიად. საქმე ამაშია, რომ ყოველდღე მახელე ბასუხის მგებელია მიღებულ საქონლის სიავკარგეში და თვითოეულ ცალის დაცვა-შენახვაში. საკმარისია რომელიმე ცალი დასველებული ან დაზიანებულ-დამტრეული აღმოჩნდეს და ან „ტაკსიროვჩიკს“ (ამ უკანასკნელზე დღეში 100 მაკიდებული 200-დე და მეტი ნაკლდნოი-კონტორამენტების განხილვა-განკარიში მოდის) უცბედათ შეცდომა მოუვიდეს და—შაბაშ! გნებავს თუ არა შენიგნ ჯამაგირით გაგებინებენ ბასუხს. ბედნიერება ფუფუნებაში მეოფნი, რასაკვირველია, თავს არ იტკივებდენ „წვრილ-ფეხა“ მახელეთა მდგომარეობაზე, ხან. გრძელ ფიქრით, მაგრამ ჩანს, მოთმინების ფიალა თავამდე გაგსებულს და ის, რაც დიდი ხანია უნდა აუცილებლათ მომხდარიყო, დღეს აღსრულდა კიდეც... რომ ზემოთ ნახსენები სავსებით დაკმაყოფილოთ აქვე მოგვყავს მახელეთა მიერ თავიანთ აგენტებისადმი წარდგენილი მოთხოვნილებანი:

1,—ჩვეულებრივი წლიურ ანგარიშის შემდეგ დასაჯილდოვებელი ფულის (наградные) რაოდენობა უნდა უდრიდეს ყოველი მახელის ორის თვის ჯამაგირს.

2,—აწ არსებულ ჯამაგირების გადიდება სამოცი პროცენტით და უმცირესი ჯამაგირი მახელის უნდა დაწესდეს არა ნაკლებ 50 მანეთისა (დღეს უმცირესი ჯამაგირი უდრის 5—10 მანეთს).

3,—სამუშაო დღის საათების რაოდენობის განსაზღვრა. ამ მუხლის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც სახელოსნო საზოგადოების წარმომადგენლებმა, აგრეთვე მახელეთა მიერ არჩეულ პირებმა. და

4,—უფასო ექიმი და წამალი იმ გვარათ და იმ წესით, რა გვარათაც ეს გემებზე მოსამსახურე ადმინისტრაციისათვის არის დაწესებული.

თუ რა მოუვება ამ სიტყვესო სქმეს და რითი გათავდება ეს უჩვეულო ინტელიგენტთა გაფიცვა და რამდენათ დააკმაყოფილებენ მათს კანონიერს მოთხოვნილებებს თავის დროზე ვცნობებ მკითხველ საზოგადოებას.

ქონდრის კაცი.

გურია. ფრიად საგულისხმიერო და აღსანიშნავია გასული წლები გურულთა ცხოვრებაში.

გასულმა წლებმა „საშინელი ქარიშხალი“ მობერა გურიის დაძინებულ ცხოვრებას: გაღვიძა და ახალ გზაზე დაუყენა... თუმცა ამაგე წლებმა ბევრ კარგთან ცუდიც მოიტანა და პირველათ ძალიან არეგ-დარია ყველაფერი, ასე რომ ვინ რას ეკიდებოდა და ვინ რას, მარა მკვირცხლმა და ფხიზელმა გურულმა მალე აირთვა ალდა, კარგს ჩაეწიდა, ცუდი უკუაგდო და შეუერთდა იმ ძალას, რომელიც ჩვენ „დიდ ქვეყანას“ ცენტრალიზით მოდებია და იბრძვის უკეთესი ცხოვრების განახლებისათვის... მართალია, ზოგიერთებს თუ დავუჯერებთ, „გურიამ დიდი სირცხვილი ჭამა“, მარა სამაგისო არაფერი მომხდარა და ეს „ბერი ჭკუის“ ნაფიქრი გახლდათ... 1902 წელს გლეხებსა და მემამულეთა შორის (იგულისხმეთ თავად-აზნაურობა) უთანხმოება ჩამოვარდა, რაც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მემამულეთა მიწებზე მუშაობის პირობები გლეხებმა მეტათ შეამცირეთ იცნეს და კიდეც ითხოვეს ძველი წესების შეცვლა და ტოტა შეღავათიანი პირობები. მემამულეებმა იმის ნაცვლათ, რომ გლეხებთან სქმე მორიგებით გაეთავებინათ და გლეხებთან მოლაპარაკება დაეწყოთ, სულ სხვა „ზომებს“ მიმართეს იმ გლეხთა წინააღმდეგ, რომელნიც მათზე მარჩენალი იყვენ. ამას ის შედეგი მოყვა, რომ თავად-აზნაურობის მიწები უნებით ალარ დათესილა.

1902 წელს სამინელი სიღარიბე ჩამოვარდა ხალხში და თითქმის სრული შიმშილობა, რაიც გამოიწვია მან, რომ უნები ტოტა დაითესა და რაც დაითესა, იქაც წვრილი ტოტა მოვიდა. ამასთან გადიდდა ბაჟი არაყის გამოხდაზე, რასაც აქ ძალიან მიდევდენ და თავის დროზე კარგ შემოსავალს აძლევდა ხალხს. ხოლო ბაჟის მომატების შემდეგ სრულიად შეწყდა არაყის გამოხდა, რადგან ეს ბაჟი იმდენათ დიდია, რომ, მოსაგების მაგიერ, ზარალს აძლევს მწარმოებელს .. ათასნაირი გადასახადები, რომლებიც უოველდღე მატულობდა და ცხოვრების სხვადასხვა მოთხოვნილებები კარზე აღგა ხალხს და სულს უხუთავდა და არ იცოდენ ბასუხი რით გაეცათ, როდესაც ქონებრივათ არაფერი გააჩნდათ. გახშირდა ცრუცვა-გლეჯა, ამას წაემატა შარის-ძიებით ბეზობა, რამაც ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. ვისაც რამე პირადი ინტერესები ჰქონდა ვისმესთან, ახლა გამოახა კუდი და სამაგიეროს გადახდას შეუდგა. და ისედაც დაბეჩავებული ხალხი, უარესათ შეწუხდა.

ამაგე 1902 წელს დაკეტილ იქმნა ყველა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რომლებიც თითქმის ყველა სოფლებში იყო, იმიტომ რომ ვითომ „გურულები წიგნის კითხვამ გადარიათ“...

1903 წელიწადი, წინა წელთან შედარებით, უფრო მშვიდობიანი იყო ცრუცვა-გლეჯის მხრივ, ხოლო ჭირნახულის მოუსავლობა კვლავ განმეორდა და ხალხი უსაშინელეს ყოფაში ჩავარდა, სიმინდი რომ ალარ ქონდათ, უმეტესობა ხიდით იკვებებოდა, რამაც ავათმყოფობა და სიკვდილი ერთი-ორათ გაძლიერა და შველა ალარსით იყო... ამ წელს რამდენიმე მკვლელობაც მოხდა... ამ გაჭირვებით, როგორც იყო, ხალხმა მოუვლელი წელი გადათრია 1904 წელში.

ამ წელს, „წვალ-წვალებული ხავსს ეკიდებოდა“, ყველამ მეხრეშემობას მიყო ხელი, მარა აქაც ბედმა უმტკუნა: ხარეშმის ხარკს ფასი მცირე დაურჩა. მკვლელობა და ცრუცვა-გლეჯა საშინლათ გახშირდა, ისეთი დღე და დამე იშვიათი იყო, რომ ვინმე არ გაეცარცვათ, მკვლელობა მართლა ბევრი მოხდა, აქვე ჩამოგითვლით მოკლულთა ვინაობას, თუმცა ყველა არ დაგვამახსოვდა: ს. გურიანთის სახოგადოებაში მოკლეს—ახნ. დ. ქარცივაძე, გლეხი თ. აროშიძე, მიხ. ყოფინაშვილი, მ. მოქაია, მახარაძე; სოდგ. ნატანების გზაზე—გ. მესხია; სად. ნიგოითში—ჩეჩელაშვილი; დანჩხუთში—მამასახლისი ირ. მენდარიშვილი, მ. არაგვნიძე; დ. ხიდისთავში—სოფლის მწერალი მიხ. დოშაძე, ქართველიშვილი, მამასახლისი თანგართქილაძე, გერ. დოშაძე; ს. ჯუმათში—მდ. გაბრიელ დარჩია, სურებში—დეკანოზი ნიკო რამიშვილი; სად. სუფსაში—დეკა ურუშაძე, დ. ჩოხატაურში—მ. კალანდაძე; ოზურგეთში—ი. სირიშვილი; ს. შემოქმედში—ახნ. ად. ბებურიშვილი და ადექსი კირკელაძე და სხ.

თუმცა ამდენი გაჭირვება, სიღატაკე და დამცირება კამათარა სალხმა, მარა მხნეობა მაინც არ დაუკარგავს, სულით არ დაცემულა და ყველა ვაი-ვაგლახს მაგრათ დაუხვდა... ბოლოს მიხვდა, რომ თავისი უბედურების მიზეზი სულ სხვა იყო და არა ის, რაც დღემდე ეგონა... 1904 წ. უკანასკნელ თვეებიდან ზემოხსენებულ არა სასიამოვნო ამბები თანდათან მცირდება და კლებულობს; ხალხი გათვითცნობიერდა, იცნო ვინ არის მისი მტერ-მოყვარე და შეუდგა ანგარიშის გასასწორებლათ მზადებას. დარწმუნდა, რომ ამდენი მარხულობის შემდეგ უსათუოთ უნდა გახსნილდეს. მხოლოთ ჯერ-ჯერობით მოითმენსა საჭირო. შეიგნა, რომ სხვასთან ერთათ საჭირო ყველა ჩვეულებების, ტრუ-მორწმუნოებისა და ხალხში განმტკიცებულ მავნებელ წესების შეცვლა და განწესრიგება, რომ ახალ ცხოვრებას „განბანილი და განწმენდილა“ შეხვდეს. შეიგნა ისიც, რომ ამაებისთვის მხოლოთ მას უნდა ეხრწნა და სოფელმა სოფელს გასძახა: „ძმებო, შევეროდეთ და უკე ვიგლოთ ყველა ჩვენთვის მავნებელნი და ყვარგისნი“! ამიერთება ურიერობები, არის მსჯელობა სხვა და სხვა საჭირო საგნებზე, ადგენენ განაჩენებს, რომლის პირველი მუხლი ასეთია: „მოისპოს ქურდობა და ავაზაკობა“!. არდგენენ სიებს ყველა ქურდობაში და ავაზაკობაში შემჩნეულ პირთა, რომელსაც სასოფლო ერიერობაზე კითხულობენ, რომ ყველამ გაიგოს, ვინ არის მათთვის მავნე პირები. ხალხი

უგორის: „გავსწორდით ქურდები, დავსჯით“. მიდიან ქურდისას, გამოუვლით გარეთ, ახოჭებენ და ითქმეინებენ „ადსარებას“. დამნაშავეს წინადადებას აძლევენ, რომ შემდეგში აღარ ჩაიდინოს ცუდი რამ, თუ არ უნდა სისტიკი სასჯელი მიაყენონ. ქურდები და ავკაცები ხალხისაგან უფრო სულიერათ—თავ-მოყვარეობის შემლახველ სასჯელით ისჯება და ფიზიკურ სასჯელს მხოლოთ უკანასკნელათ მიმართავენ. მაგალითად, ს. დიხაურში ერთ გლეხს ორმა უმაწვილმა კაცმა ძრახა მაზარეს, ქურდებს ხალხმა მიაგნო ცოტახნის შემდეგ და სასჯელათ გადაუწყვიტა: მოპარული ძრახა ახალწელიწადს ეკლესიაზე უნდა მიეყვანათ. ასეც მოხდა: ერთ ქურდს მოაბეს წელზე თოკი და ძრახა წაუვანინეს, მეორე კი მიერეკებოდა და ამ უოთით მივიდენ ეკლესიასთან. გათავდა თუ არა წირვა გამოვიდა ხალხი ეკლესიიდან. გააკეთა დიდი წრე, გაჩერდა შუაში ქურდები და მოთხოვა კაცებსთ თუ რაგორ ჩაიდინეს ქურდობა. ქურდებიც გამოტყდენ უველაფერში. ხალხმა აბატივა დანაშაული, ხოლო უკეთუ განიმეორებდენ, იმ შემთხვევაში სასტიკი სასჯელი ელოდა. აი, ამნაირია ხალხის მიერ გამოგონილი სასჯელი და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ სხვა სასჯელებზე უკეთეს ნაოფს მოიტანს და მოიტანა კიდეც...

დანარჩენი მუხლები ხალხის მიერ შემოღებულ წესების შესახებ:—შეცვლილ უნდა იქმნას „მიდოცვიანი ქორწილები“ და „წაბურვიანი ტირიდები“, რადგან ეს უველასთვის საზარალოა, და ბევრგან შეიცვალა უკვე მოსპობილი უნდა იქმნას ძალ-დატანებული დეინის სმა, დოთობა, რადგან ამას ხშირათ ჩხუბი და თავ-ხირის მეტვრევა მოუვება.—არავინ არ უნდა გაბედოს ერთი-მეორის დანძღვა—გინება, დარტყმა და სხვა ამგვარები.—თუ რაიმე ხალხთან გასარიგებელი საქმე აქვს ვისმეს, ხალხს უნდა მიანდოს მისი მოწესრიგება. აგრეთვე არ შეიძლება: მრუშობა, ჩარჩობა, ერთი მეორის მოტუეება რაიმე საქმეში, ერთი სიტუვით უველა ის, რაც კაცის უზნეობას შეადგენს და საზოგადოებისთვის მავნებელი და მზარალებელია.

შეიძლება ზეგით ნათქვამი ვისმეს გაზვიადებულათ ეჩვენოს, ან ეგვი შეეხაროს ამების განხორციელებაში, მარა ის შემცდარი იქნება, რადგან ხალხი, თუ მოინდომებს, უველაფერს შეიძლებს და მოინდომა კიდეც და უველაფერი უკვე ნორმალურათ მიმდინარეობს. უველა წრფელი გულით შეუდგა ამ საქმის განხორციელებისთვის მუშაობას, მთელი კურია ამაზე დაბარაკობს, უნდა ნახოთ სოფელი, რა ალერტებით და მხიარული სახით გაემზოთ ამის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა ხალხი თავის საზოგადო საქმეშია გართული, მარა ამავე დროს დიდი ინტერესი აქვს სხვა ქვეყნის ამბებიც იცოდნეს. ძალიან ეტანებიან გაზეთის კითხვას, ვინც კითხვა არ იცის, ის სხვას ეხვეწება წამაკითხეო. შეიძლება ეს ომიანობისგან იყოს, მარა, წარმოიდგინეთ, რომ ისეთ წერილებს უფრო ეტანება ხალხი, რომლებიც დღევანდელი ცხოვრების კითხვებს შეეხება და სხვა, ომის შესახებ სოფლელნი ასე კითხულობენ: „რაფერაა საქმე! არ ეთხოვიან ჩხუფს„. ძალიან ეტანებიან „წკეის სასტავლ წიგნებსაც“.

ჩვენ მიერ მოხსრობილი ამბები შეეხება მხოლოთ სოფლებს, და ურიგო არ იქნება ამ მხრივ ცოტა რამ გურიის „სატახტო ქალაქის“, ოზურგეთის შესახებაც ვთქვათ. მაგრამ ჯერ რომ კარგს ვერაფერს ვიტუვით! ოზურგეთი მოწუენტილი დარჩა უოველსვე ამას და როცა „ქარიშხალმა“ მოპერა, ოზურგელებმა თავის თავი კუნძულივით დაიტოვეს და კვლავ განაგრძობენ დახვეულებულს და კარჩაკეტილ ცხოვრებას; ოზურგეთლებმა ვერ გამოიჩინეს იმდენი დაკვირვება, რომ ეხლანდელი ცხოვრების უვარგისობა შეეგნოთ და ისინიც საერთო ფერხულში ჩამბულიუენ მის განსაკარგებლათ. კერძოთ რომ ვთქვათ ოზურგეთის ქალაქის „მამები“ ჯარების გადმოუვანას და „კაზნაჩეისტვოის“ გადმოტანას ოხუნჯობენ და ამითი უხვრებენ შველას გაღარიბებულ ქალაქს. რაც შეეხება ვაჭრებს, ისინი რიგიანი სოფლების ქონებრიგით გაღარიბებით ვაჭრობა მოაკლდათ, გაიძახიან: კვირა-უქმე დღეებში რომ მაღაზიები იკეტება და სოფლებში სავაჭრო დუქნები არსებობს „იმან მოგვკლა ვაჭრობა“ და ამისთვის წუწუნებენ! ეგრეთ წოდებული „ინტელიგენცია“ კლუბში ქეიფობს! სხვებზე კი დაბარაკიც არა დარს. დაიხ, ოზურგეთლებმა ვერ მიხვდენ, რომ დროა უველამ შეუდგეს ცხოვრების განსაკარგებლათ ზრუნვას და ჩვენ თავს ჩვენვე მოურიოთ.

ამნაირათ, გურიაში სოფელმა უოველნაირათ გაასწრო წინ ქალაქს (რა თქმა უნდა ჩვენ, აქ ოზურგეთი გვაქვს მხედველობაში): იგი დიდი ხანია შეუდგა საქმეს, ახალ გზას დაადგა, იბრძვის და ცდილობს „დუხჭირი ცხოვრების“ განახლებას...

პ. მზიარულიძე.

რუსეთის ქრონიკა

25 იანვარს პეტერბურგში მოხდა ინჟენერთა კავშირის კრება. ამ კრებაზე წაკითხულ იქნა 198 ინჟენერთა მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელიც მათ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს გადასცეს. ამ განცხადების დედა აზრი ის არის, რომ იანვარში მომხდარმა ამბებმა შეუძლებელათ გახადეს მრეწველობის ზოგიერთი დარგის ინჟენრების არსებობა. ამის მიზეზი არის უთანხმოება, რომელიც დამყარდა მუშებსა და მათ შორის იანვრის ამბების შემდეგ.

ინჟენრებმა გამოთქვეს თავისი შეხედულობა მუშათა მოძრაობის განვითარებაზე და აუცილებლათ სცნეს ბოლიტიკური მოთხოვნების წარმოშობა. კარდა ამისა განცხადებაში მოხსენებულია რომ მუშათა მოძრაობა არა თუ მთავრობის თვალწინ გაიზარდა, არამედ თვით მთავრობის მიერ იყო შექმნილი და შემდეგ კი ამავე მთავრობამ ასე უმოწყალოთ და სასტიკათ ჩაცხრო იგი. ახლანდელი ზომები ადმინისტრაციის მუშების დაწუნარების შესახებ, მისი სურვილი მუშების ორგანიზაციის ხელმძღვანელობისა კიდეც უფრო გაამწვავებს საქმეს და საშინელ ამბებს მოახდენს. შემდეგ განცხადებაში მოუვანილია საზოგადო ხასიათის ზომები, რომელთა საშვალებით შეიძლება სახელმწიფოს მრეწველობის საქმის მოწესრიგება. ეს განცხადება გადასცა ვიტტეს კავშირის მიერ არჩეულმა დეპუტაციამ. ვიტტემ მიიღო განცხადება და თქვა, რომ მინისტრთა კომიტეტი განიხილავს იმ ნაწილს მოხსენებისას, რომელიც შეეხება მუშათა კითხვის ეკონომიურ მხარეს და შეძლების და გვართ ეცდება, რომ განხორციელდეს მოხსენებაში შემუშავებული დებულებანი.

◆ როგორც გაზ. „ბრიბსლტ. კრაი“ იუწუება, 10—15 იანვარს რაკაში საშინელი არეულობა და სისხლის დერა მომხდარა. არეულობა დაწუებულა 10 იანვარს და მეტათ გაძლიერებულა 12 იანვარს, როცა დაწუებულა მუშათა გაფიცვები. ამ დღეს გაფიცულ მუშათა ჯგუფმა დაიარა უველა ქარხნები და სახელოსნოები, სადაც იწვევდა ამხანაგებს, რომელნიც სიამოვნებით ანებებდენ თავს მუშაობას და უერთდებოდნენ გაფიცულთა გროვას. მალე გაფიცულთა რიცხვი ძალიან გაიზარდა. გაფიცულები შეჩერდენ იღგეტების მოედანზე. აქ ერთმა მუშათაგანმა ამცდლებული ადგილიდან წაიკითხა მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაცია შესახებ პეტერბურგში მომხდარ ამბებისა. აქედან ხალხი გაექანა ცემენტის ქარხნისაკენ, სადაც მუშებთან ერთათ გაჩნდა ჯარის კაცების ორი როტა. დატუვევებულ იქნა 6 კაცი, რომელნიც სხვებზე უფრო აღელვებდენ მუშებს. ამათ უხოვეს პროკლამაციები, რკინის სხვა და სხვა საკნები, სტემრათ დამზადებული და მრავალი ქვები. ამავე დროს მუშათა გაფიცვა მთელ ქალაქს მოედო და გაფიცულთა ჯგუფებით გაიფსო სხვა და სხვა ქუჩები. მუშებს არავითარი ძალმომრეობა და უწესოება არ მოუხდენიათ გარდა იმისა რომ დაღეწეს „Baetiqas Webstpesis“ და „ბრიბსლტ. კრაის“ რედაქციების ფანჯრები. დადგდა თუ არა უველაფერი მიწუნარდა.

13 იანვარს დემონსტრატები შედიოდენ იმ ქარხნებსა და სახელოსნოებში, სადაც მუშაობა არ შეწუვეტათ და მიუვდათ თა-

გისთან მუშები. დემოსტრაციებში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე ქალები და სტუდენტები. დატუსვეს 121 კაცი. ბევრ ადგილს მანიფესტანტები გაუვლეს ბოლიციამ და ჯარმა. ნაშუადღევის 2 საათზე აუარებელი ხალხი გამართა შუა ქალაქისაკენ და მუშაობა მოსტოვებინა უველა სტამბების მუშებს, რის გამოც იქცური გაზეთები რამოდენიმე დღის განმავლობაში ვერ გამოდიოდენ. რკინის გზის ხიდთან მანიფესტანტების გრიგას გზა მოუჭრა ჯარის კაცთა ნახევარმა როტამ. დემოსტრანტები იერიშით მივიდენ ჯარის კაცებზე, მოაგდიჯეს მედოდუს ქუდი და რალაც აირდით თავი გაუტეხეს უნტერ-ოფიცერს. ხიდიდან ჯარის კაცებს ქვებს უშენდენ და რევოლვერებს ესროდენ. ამავე დროს მოვიდა მეორე ნახევარი ჯარისკაცთა როტისა, რომელიც დახვდა ხალხს „გოსპოდსკაია“ ქუჩაზე. ხალხმა სროლა დაუწყო ჯარის კაცებს. მეორე ნახევარი როტის უფროსმა დაინახა, რომ ბირველ ნახევარ როტას ჯარს შემოხვეოდა ხალხი და უბრძანა ჯარის კაცებს ესროდით დემონსტრანტებისათვის. ხალხი მაღე გაიფანტა. მოედანზე დარჩა 23 მოკლული, მათ შორის 2 ქალი და 60 დაჭრილი. ბრისტოვის თანაშემწე ბიღიკი სასიკვდილოთ დაიჭრა და მალე მოკვდა კიდეც ქალაქის საავთომობილოში. ჯარის კაცთაგან დაიჭრა 8, რომელთაგან 1 მოკვდა. საავთომობილოში გარდაიცვალა 12 დემოსტრანტი. წითელი ჯვრის გოსპიტალში 7 დაჭრილი სტუდენტი მაიყვანეს, 3 ამათგანი გარდაიცვალა. კერძო საავთომობილოში მაიყვანეს ბოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტი კონსტ. ნიკ. ბეზობრაზოვი, რომელსაც თავში მახვედრადა ტუყა. რამოდენიმე საათის შემდეგ ბეზობრაზოვი გარდაიცვალა. მოკლულია აგრეთვე კომისიონერად შემნახველ სალარის გამგეობის თავმჯდომარე ედ. ნიკ. ნემჩინოვი, რომელსაც რამოდენიმე ტუყა მახვედრადა. 13 იანვარს ურიცხვმა ხალხმა თავი შეიყარა ლეისპედის ქუჩაზე, და სროლით დაუხვდა ჯარის კაცებს, მაგრამ ვინებით ვერაფერი აგნო. იმავე დღეს ალექსანდროვის ქუჩაზე შეიკრიბენ სტუდენტები და ქალები, რომელნიც უცერადენ: „ძირს ომია“. სალამოს სტუდენტებმა მოახერხეს თეატრების დარეკციებს ქალაქში მომხდარ სამწუხარო ამბების კამოწერომდგენები შეეწუვიტათ. წერომდგენები შეწყვიტეს. 14 იანვრიდან ელექტრონის ტრამვაის მოძრაობა შეწყდა. ბევრი ფაბრიკები დაიმტვრია. სასწავლებლებში 18 იანვრამდი მაცდენობა შეანერეს.

14 იანვარს, დილით კოვნოდან მოვიდა ასი ვაზახ—რუსი. ბოლიტეხნიკურ ინსტიტუტში სტუდენტებმა კრება მოახდინეს. ერთ-ერთ ფანჯარაში გამოვიდეს შავი სამგლოვიარო ბაირადი შემდეგის წარწერით: „დიდება ბრძოლაში მოკლულთა; წყევა და კრულვა მკვლელებს!“ ინსტიტუტის წინ მრავალი ხალხი იდგა, მაგრამ სიწუხარე არ დაურდვევათ. კრების გათავების შემდეგ ბოლიტეხნიკური ინსტიტუტი დაიხურა სამოსწავლო ოქის მზრუნველის განკარგულებით.

15 იანვარს გუბერნატორის ნებართვით დამარხეს მოკლული სტუდენტი ბეჩურკინი. კუბო მიქონდათ სტუდენტებს და მუშებს; რამოდენიმე ათასი ხალხი მიეახლა მიცვალებულს. წინ მიქონდათ გვირგვინები ამხანაგებისაგან, მუშებისაგან და კერძო პირთაგან. გვირგვინებზე წითელი და სხვა ფერების ლენტები იყო. ამ ლენტებზე შემდეგი წარწერები იყო: „თავისუფლებისთვის ბრძოლაში მოკლულ ამხანაგს“, „ალგირ წესნიკი თვითნებობის მსხვერპლს“, „სიკვდილი, წყევა-კრულვა და შური ძაებს ჯალათებს!“ აქ-იქ არიგებდენ ცის ფერ ქალალდზე დაბეჭდილ პროკლამაციებს, რომლითაც ეწვევდენ ხალხს ქუჩაზე გამოსასვლელათ. გარდა ამისა ქალები იღებდენ პროკლამაციებს თავის ხელ-სათბუნებიდან და გამუდმებულ ურიგებდენ. როცა მიცვალებული დამარხეს ვილაც უცნობმა კაცმა წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „სუკინა აყოს ხსენება თავისუფლებისთვის ბრძოლაში მოკლულისა“. ამის შემდეგ წაიკითხეს ლენტების წარწერები რუსულს, ლატიშურს და გერმანულ ენებზე. შემდეგ დაბრუნებისას დაიწყეს „დუბინუშკის“ მღერა, არიგებდენ პროკლამაციებს, აჩერებდენ მეეტლეებს და აჭრობდენ ფარნებს. დემონსტრანტები მაღე გაფანტა ვაზახ რუსებმა და ჯარმა. 16 იანვარს სიწუხარე არსად დაურდვევათ.

◆ ბეტონდოგის ქარხნის მუშები ჯერაც არ დაწუხარებულან. მართალია მუშაობა დაიწყეს მაგრამ ისევ შეწყვიტეს. 3 თებერვალს, დილის 7 საათზე, მუშები შეკრიბნენ სახელოსნოებში, მაგრამ 10—15 წამის შემდეგ, უველა წავიდნენ. ნასადილევს არც ერთი მუშა არ დაბრუნებულა. ხარვის კარებიდან და ბეტონდოგის ქარხნის იქით მუშები ჯგუფ-ჯგუფათ იკრიბებოდნენ და უველგან ამაზე დაბაასობდნენ, ვინ ან რაგორ ამოარჩიათ დეპუტატებათ მთავრობისაგან დანიშნულ საგანგებო კომისიაში. ქარხნის ადმინისტრაციას უნდა, რომ დეპუტატების არჩევნები ოფით ქარხანაში მოხდეს; მაგრამ მუშები არ არიან თანახმა. მუშებს მიუმართავთ თხოვნით ბეტერგოფის ბოლიციის სამმართველოსათვის—მოგვეცით ნება შევიკრიბოთ უახლოეს მოედანზე და მოვილაბარაკოთ ჩვენ დეპუტატების არჩევნაზე; თანახმა ვართ, ჯარი და ბოლიცია შემოარტყათ ამ ადგილს, სადაც შეკრებილი ვიქნებითო. ბოლიციამ ვერ მისცა ნება. მიმართეს გრაფინსკისაც ბასუხი მისცეს („რ. ვედ.“).

◆ სენატორ შიდლოვსკის კომისია მთავრობისაგან არის დანიშნული მუშების საქმის გამოსაძიებლათ და გამოსარკვევათ. კომისიაში უნდა იქნეს, სხვათა შორის, მუშების წარმომადგენლებიც. ამის გამო შიდლოვსკისთან მისულან მუშების წარმომადგენლები და უთხოვიათ—ნება მოგვეცით ჩვენი წარმომადგენლობა კომისიაში მივანდოთ განათლებულ, თავისუფალ ბრალეულის ხალხსა (ინტელიგენტებს); ესენი კარგათ იცნობენ მუშების საქმეს და მათ ეხლანდელ მდგომარეობას; ამასთან უკეთ და მეტის სიცხადით შეუძლიანთ დაუსტონ კომისიას მუშების საჭიროებანი, და კამათშიაც მეტ წესიერებას შეიტანენო. შიდლოვსკემ უარი უთხრა მუშებს ამ თხოვნაზე: გადაწყვეტილია, ბირდაბირ მუშებთან ჰქონდეს საქმე კომისიასო. მუშები შეკრიბებიან საფაბრიკო ინსპექტორის ზედამხედველობით და ჯერ ამომრჩევლებს ამოარჩევენ; მერე-კი ეს ამომრჩევლები თავიანთ წრიდან აირჩევენ დეპუტატებს კომისიისათვის („რუს“).

უცხოეთის ქრონიკა

საფრანგეთი. გაზეთი „ნაშა ჟიზნის“ 28 იანვრის ნომერში მოთავსებულია საინტერესო ცნობა საფრანგეთიდან შემდეგი სათაურით: „აგიტაცია მ. გორკის სასარგებლოთ“. როგორც ჩანს, მ. გორკის დატუსაღებას და საერთოთ რუსეთში მომხდარ ამბებს ძალიან აუღელვებია საფრანგეთის საუკეთესო ნაწილი. საქმე იქამდისაც მისულა, რომ ეს მღელვარება რუსეთის და საფრანგეთის ორთა შუა კავშირის საწინააღმდეგო მოძრაობათ გადაქცეულა. ამ მოძრაობის სათავეში ჩამდგარან ისეთი გამოჩენილი და ბატივსცემი ბირნი, როგორიც მაგალითად არიან ანატოლ ფრანსი, ბენჯამენ, ბროფ. დუი დანიკი, დეპუტატი რუანე, ეგენ ფურნიერი და სხვ. მოძრაობას სტიქიური ძალით მოსდებია საფრანგეთს და მიტინგებს მიტინგებზე იწვევს. ამ მიტინგებზე წარმოთქმის ამაფრთოვანებელი სიტყვები რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. საუკეთესო ბოლიტიკური მოღვაწეები გამოდიან თურმე ორატორებათ და შესძახებენ რუსეთის ახლანდელ წესწყობილებას, მიტინგებს ათავებენ უეცრივით: („ძირს აბსოლიუტიზმი! გაუმარჯოს რუსის ხალხსო“). ერთ ერთ ამასთანა მიტინგზე შეუნიერი სიტყვა წარმოთქვა მიტინგის თავმჯდომარემ ანატოლ ფრანსმა. ორატორს არ წამს ის დებულება, რომლის ძალით საფრანგეთს ვითომდაც ნება არა აქვს გარეშე საქმეებში ჩაიხედოს და აი რა მოსაზრებით:

„რუსეთის აბსოლიუტიზმი რეაქციაა და ეს რეაქცია მოელ მთელ ევროპას. რუსეთის აბსოლიუტიზმი მსოფლიო კაპიტალიზმის ცენტრია, ის არის უკანასკნელი იმედი გერმანიის და საფრანგეთის კლერიკალური ბურჟუაზიისა. განა ჩვენთან კი არ შემოიპარა ეს აბსოლიუტიზმი, საფრანგეთის და რუსეთის კავშირის დროშით დაფარული?

ეს კიდევ არ გმარა! თვით ეს კავშირი ნათლად არ გვაჩვენებს, რომ მისი სახით ჩვენში ბიუროკრატიული აბსოლიუტიზმი შემოაჭრა? ავუღიაროთ იმ მონარქისტებს, კლერიკალებს და ნაციონალისტებს, რომელნიც გზას უკაფავდენ ჩვენში ამ კავშირს; შევნიშნოთ ესმოდათ, რომ ამით ისინი საფრანგეთში კონტრ-რევოლიუციას ახდენდენ. ამ კავშირის უახლოესი შედეგი გამოისტა იმაში, რომ ჩვენ წვრილ ბურჟუაზიის მიერ შემონახული ფულებით რუსეთის მთავრობამ ჯიბე გაიქნია. სწორეთ ამ ფულებით იყო, რომ რუსეთმა წამოიწყო მანჯურიაში ისეთი უსამართლო და გიჟური ომი, რომელსაც ბადალი არ ეძებნა ისტორიაში. კავშირი—სესხია; აი ჯენშარიტება!..

ორთა შუა კავშირის სწინააღმდეგო მოძრაობამ „ნ. ვ.“-ის სიზუსტით გარეთულ მიმოხილვიდან აზრით, ძირითად შეიძლია რუსეთის და საფრანგეთის კეთილ განწყობილება.

ნაწყვეტი.

დღის მნათობმა განთიადზე
ნავი დაძრა, ააცურა,
ხომლს შესცინა, გადალოკა,
მდელოს ნამი დააწურა...

ჩაგრულთ დროშა სულ წინ მოაქვთ
შესახვედრათ განთიადის,
მებრძოლთ გგრვინვა, გმირთა მძლე ხმა—
ჰაერსა ძრავს, ცამდე ადის...

ხალხის ტანჯვა-კვნესის ცეცხლსა
ჩამოშორდა ნაპერწკალი,—
ალათ იქცა და მტარვალთ გუნდს
შემოავლო ირგვლივ რკალი!..

იალონი.

საკვირველი ამბავი.

ნათელსა და განიერ ოთახში, რომლის იატაკი და კედლები ძვირფასი ხალიჩებით იყო მოფენილი, დიდს მრგვალ სტოლთან რბილს სკამზე, ასე შვა ხნის ჭაღარა შერეული კაცი იჯდა და რაღასაც კითხულობდა. სტოლზე იდგა ბრტყელი საწერელი წითელი მელნით, საშრობი ქაღალდი, ფერადი კარანდაში, რამოდენიმე შავი ყდიანი წიგნი, მრგვალათ დახვეული რაღაცა ქაღალდი და ნახევარი სტაქანი ჩაი. კედლებზე აქა იქ სურათები ეკიდა, ხოლო შვა ჭერიდან სტოლის პირდაპირ, მშვენიერი ლამპა იყო ჩამოშვებული.

სამარისებურ სიჩუმეს მხოლოთ ქუჩაზე მოხრიგინე ეტლების ხმა არღვევდა. ხანდისხან კი მეორე ოთახიდან, მოთამაშე ბავშვების წკრიალა სიცილის ხმა შემოიჭრებოდა ხოლმე და უნებლიეთ იპყრობოდა სტოლთან მჯდომარე კაცის ყურადღებას. ის აიღებდა თავს, მიაყურადებდა ბავშვების ხმას, შემდეგ მონთქვედა ჩაის, კმაყოფილებით ჩაიცინებდა და ისევ თავისს საქმეს უბრუნდებოდა.

მან გაათავა კითხვა. გაშლილი ქაღალდი ოთხათ მოკეცა, ზედ წითელი კარანდაშით რაღაცა დაწერა და იქვე დადო. შემდეგ აიღო მრგვალათ დახვეული ქაღალდი, რომელსაც ზევიდან ეწერა: „გაზეთი ეკალი.“, გაშალა და კითხვას შეუდგა.

— აჰაა, ეს ლევანის საკვირაო ფელეტონია! ვნახოთ, ვნახოთ!

„ძვირფასო მკითხველო!“ წერდა ფელეტონის ავტორი. „სულითა და გულით მწადია გაგიზიარო ყოველივე ჩემი გულის თქმა, ჩემი აზრი და ფიქრები, ჩემი სიხარული და მწუხარება. მინდა აგიწერო ის საზარელი ამბავი, რომელიც გუშინწინ ჩვენი ქალაქის ქუჩებში დატრიალდა. ოჰ, შესაძლებელი რომ იყოს, თვით იმ უმანკო სისხლით, რომელიც ასე უხვათ შეიშროო ჩვენმა ქუჩებმა, დავხატავდი იმ საზარელ სურათს, მაგრამ ეს შეუძლებელია; შეუძლებელია, იმიტომ რომ ჩვენს წინაშე ამართული კედელი, ხელს გვიშლის დაგანახო ნამდვილი სახე იმისი, რაც საკუთარი თვალითა ვნახე. მაგრამ მე მაინც ვცდი და ვნახოთ რა გამოვა; ცდა ხომ ბედის მონახევრეა.

„ერთი ტალღა იმ საერთო ჭარიშხალისა, რომელიც ჩვენს სამშობლო ქვეყანაში ამდგარა და რომელიც განადგურებას უქადის ყოველივეს ძველს, ძირ გამომპალსა და უვარგისს, დიახ ერთი ტალღა ამ საერთო ჭარიშხალისა ჩვენს ქალაქშიაც შემოიჭრა.“

სტოლთან მჯდომი კაცი შეიგდა ხელში, კალამი აიღო და მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, წაკითხულს ისევ თავიდან დაუბრუდა.

— აჰა, აი ეს სიტყვა „საზარელი“. განა შეიძლება ამ ადგილას ამ სიტყვის ხმარა?! განა შეიძლება პოლიციის მოქმედებას „საზარელი“ ეწოდოს? მართალია, უიარაღო ხალხს დაერივნენ, ბევრი დახოცეს, მეტი დასჭრეს და ამაზე კიდევ მეტს ძვლები დაურბილეს ცემით, მაგრამ ასეთი მოქმედება მაინც არ შეიძლება „საზარელათ“ ჩაითვალოს. არ შეიძლება იმიტომ, რომ ეს მთავრობის განკარგულებითა ხდება. მაშ აი ასე...

სტოლთან მჯდომმა ამოიღო ნიშანში სიტყვა „საზარელი“ და ზედ განიერი წითელი კვალი გავლო, რაიცა იმას ნიშნავდა, რომ ეს სიტყვა სხვა რომელიმე უფრო ლამაზი სიტყვით უნდა შეიცვალოსო. შემდეგ სტოლთან მჯდომი ჩაყვა წერილს და კვლავ შეჩერდა იმ ალაგას, სადაც ეწერა: „საერთო ჭარიშხალი“. ის ღრმათ ჩაუფიქრდი ამ სიტყვების აზრს და სახე მოელუშა.

— არა, არ შეიძლება, ეს მეტის მეტია, ჩაილაპარაკა მან. აქ ცხადაია ჩანს, რომ ამ „საერთო ჭარიშხალის“ სახელით ავტორს სიტყვა „რევოლიუციის“ გამოხატვა უნდა. დიახ მესმის, მესმის... როგორ ქერქშიაც უნდა გაახვიოთ, მე მაინც მიყვდება სიტყვის ნამდვილ აზრს და მნიშვნელობას. ვიცი რომელ „საერთო ჭარიშხალზედაც“ უნდა მიუთითონ მკითხველ საზოგადოებას. მაგრამ ეს შეუძლებელია, მე მოვალე ვარ ასეთ აზროვნებისაგან განვათავისუფლო წერილი, რომ მკითხველის თავში რაიმე ეჭვი არ დაიბადოს. ჩემს კალამს ვერავითარი სიტყვიერი კოტრაბანდა ვერ გაეპარება. დარწმუნებული ვარ, რომ ზოგჯერ ისეთ ალეგორიას ვიპერ, რომლის აზრს თვით ეგანათლებულესი მკითხველიც ვერ გაიგებს. რას იზამ, ასეთია მოვალეობა. ან სამსახურს უნდა დაანებო თავი, ან უნდა პირნათლათ შეასრულო მონდობილება; ჩემი მონდობილობა კი ეს არის. მართლაც და მაშ რა მოხელე უნდა ვიყო, თუ ბეჭდვითი სიტყვა ფარულის სახით, ე. ი. ალეგორიებით მთავრობისათვის სახიფათო აზრებს გაავრცელებს?!. მაშ აი...

სტოლთან მჯდომმა კვლავ ამოავლო კალამი მელანში და „საერთო ჭარიშხალს“ წითელი ზოლი გადაატარა.

— განა მე კი მიხარია მეგობრის მომდურება, მაგრამ სამსახური მიბრძანებს და უნდა ავასრულო.

ის ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ბოლოს ფანჯარას მიადგა. ქუჩაში რკინის თავებიან ჯოხებით აღჭურვილი ჩაგლეჯილი მეეზოეები ირეოდენ; გოროდოვები და მათი უფროსებიც რაღაცა არა ჩვეულებრივ ფაცი-ფუცში იყვენ. ხალხიც უფრო აღელვებულსა გავდა. მაგრამ რადგანაც ეს ჩვეულებრივი მოვლენა არის დღევანდელი ქალაქის ცხოვრე-

ბისა, იმანაც მალე მოაშორა ქუჩას თვალი და ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა. აიღო თუ არა კალამი ზიზღს გამომხატველი ღიმილის კვალი სწრაფათ გაუქრა სახიდან.

— აბა ვნახოთ ქვევით, რასა წერს ჩვენი ლევანი—ჩაილაპარაკა მან და განაგრძო.

„აქაურმა მუშებმაც შეფიცეს ერთმანეთს, თავი დაანებონ მუშაობას, სანამ მათ აუტანელი მდგომარეობას მათი უმოწყალოთ ცარცვასა და ყვლეფას ბოლო არ მოეღება". სტოლთან მჯდომი კვლავ შედგა. სახეზე ისევ დაეტყო უსიამოვნების ნიშანი.

— კიდევ!.. სწორეთ აღარ ვიცი რა გზას დავადგე! როგორ შეიძლება ასე წერა. „ცარცვა-გლეჯა", „ყვლეფა" და სხვ. უნდა შეიცვალოს, უთუოთ უნდა შეიცვალოს, წარმოთქვა მან და გადაუსვა თავისი კალამი აღნიშნულ სიტყვებს.

— ვნახოთ შემდეგ...

„მართლაც რომ აუტანელია მუშის მდგომარეობა! ვისაც არ გამოუცდია ის ტანჯვა-წვალება, ის სიმშილ სიცივე, ის უსამართლო ქცევა თავისი მცარცველებისაგან, რომლებსაც მუშა ითმენს, იმისთვის რასაკვირველია ძნელი წარმოსადგენია ის თავგამოდებული ბრძოლა თავისუფლების მოსასპობლათ, რომელსაც მუშა ხალხი ეწევა".

— მაკვირვებს, სწორეთ მაკვირვებს ამ კაცის საქციელი, ჩაილაპარაკა სტოლთან მჯდომმა. ვის გაუგონია მისგან ასეთი სიტყვები. რა გაეწყობა, უნდა მოვიმდურო, უთუოთ უნდა მოვიმდურო. უნდა წაიშალოს სიტყვა „ბრძოლა", სიტყვა „თავისუფლება", მათი გაშვება ყოვლად შეუძლებელია... რა ვქნა სამსახური მეგობრობაზე მაღლა დგას.

მან მოიმარჯვა კალამი, რომ ამოეშალა ეს ორი სიტყვაც, მაგრამ ქუჩიდან საზარელი ყვირილი შემოესმა. უცებ წამოხტა და ფანჯარას მივარდა. ქუჩაში ხალხი ზღვასავით ღელავდა და ირეოდა. დვორნიკების ჯოხების ტრიალს, ქვების ზუზუნს და ხმლების წკრიალს უცებ თოფების გრიალიც მოყვა. მე შევხტი და თვალები გამოვახილე. თურმე ყველაფერი სიზმარი იყო.

ეშმაკი.

დამნაშავე

მოთ. ციოხისა.

(ციმბირში გადასახლებულთა ცხოვრებიდან).

შორს, ძლიერ შორს, მიყრებულსა და თოვლს ქვეშ დამარხულ ციმბირში, ძევს ქალაქი ტიუკალინსკი. ვიწრო ქუჩები და წაფერდებული ხის სახლები სამგლოვიარო ელფერს დებენ მას. იმის მკვდრულ სამარისებურ სიჩუმეს მხოლოთ მშიერი ძაღლის სევდიანი ყმუილი და მთვრალი ქმრისაგან გალახული ცოლის ყვირილი თუ დარღვევს ხოლმე ხანდისხან; შემდეგ კი იგივ სიჩუმე და მყუდროება.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა. ტიუკალინსკის ბედნიერნი მცხოვრებნი მოსვენებას აპირებდენ; ქუჩის სადარაჯოთ გამოსული ყარაული ზანტათ დააბიჯებდა და თანაც მადიანათ ამთქნარებდა. ამ დროს ერთ ჭიხის კარებთან, რომელშიაც „ადმინისტრატიული წესით" გადმოსახლებული სტუდენტი შედიკი დოლგიხი ცხოვრობდა, პოლიციის დარაჯი გაჩერდა და კარებზე დაკაკუნა. ჭიხის კარები გაიღო და დოლგიხის მეულღე გამოვიდა, რომელსაც დარაჯმა უწყება გადასცა ქმრის სახელობაზე, რომლითაც სტუდენტ დოლგიხს პოლიციაში იბარებდენ მეორე დილისათვის.

— თქვენ წაიკითხეთ 1882 წლის 12 მარტის წესდება? შეეკითხა ისპრავნიკი სტუდენტს, როდესაც ის პოლიციის სამმართველოში გამოცხადდა. ხომ მიღებული გაქვთ?

— დიახ მიღებულიცა მაქვს და წაკითხულიც.

— მაშ ეგ როგორ არის, ჩემო კარგო, მე ვტყობილობ, რომ თქვენ ავათმყოფებს იღებთ. შეიძლება ეს ტყუილია?

— სრული ჭეშმარიტება გახლავთ.

— აჰაა, მაშ ჩვენ ფრთები უნდა შევაკვეცოთ თქვენ თვითნებობას. უკაცრავათ თუ არ ვიქნებით გიცხადებთ, რომ ავათმყოფობების მიღება თქვენ აკრძალული გაქვთ.

— კარგი მაგრამ რას მიბრძანებთ,—ასეთ შემთხვევაში: მოდიან ჩემთან ტიფით ავათმყოფი გლეხები; როგორც ექიმს მე უფლება არა მაქვს ისინი სახლიდან გამოვაგდო და როგორც კაცი, მოვალე ვარ გაჭირვებულს დავეხმარო.

— ეჰე! თქვენ გავიწყდებათ, რომ ასეთი თვითნებობისათვის გამოგისტუმრეს ამ ცივ ქვეყანაში. არ იფიქროთ ვითომ აქ პეტერბურგი იყოს. და თუ ახირდებით საპყრობილეც ახლოს არის.

— მაშ, თქვენი აზრით, ავათმყოფი დახმარების ნაცვლათ სახლიდან უნდა გავაძევო?

— ეჰ, ამაებს მე უნდა გასწავლიდეთ? ჩვენი ლაპარაკი გათავებულია, მაგრამ ეს კი გახსოვდეთ, რომ ტყვილა უბრალოთ მუქარას მიჩვეული არა ვარ.

ძალა უნებურათ უნდა დამორჩილებოდა სტუდენტი დოლგიხი პოლიციელის ბრძანებას და ავათმყოფები მიეტოვებია.

ან კი რა უნდა ექნა. „ადმინისტრატიული წესით" გადმოსახლებულთ აკრძალული აქვთ თითქმის ყოველგვარი ხელობა სარჩოს მოსაპოებლათ და ვალდებულნი არიან მთელი დრო უსაქმობაში ატარონ, მაგრამ ცხოვრება, ჭამა-სმა ხომ საჭირო არის და აი გუბერნატორის სახელზე იგზავნება თხოვნა:

— მომეცით ნება რაიმე ხელობას დავადგე და შიმშილით სიკვდილი ავაცილო თავადან ჩემ ოჯახს, ჩემ წვრილ შვილებს. მიიღეთ მოწყალება ღვთის გულისათვის და მომეცით ნება ვიშრომო ოჯახის დასაპურებლათაო.

პასუხი ხშირათ ყოველსავე მოლოდინს ჰარბობდა თავისი სიმკაცრითა და სისასტიკით. სტუდენტმა დოლგიხმა ბევრი გაჭირვება გამოცადა, ბევრი-ვაი-ვაგლახი გადაიტანა ასეთი მორჩილებისათვის. ხშირათ ძლიერ ხშირათ, იმისი მოთმინება წყდებოდა და იძულებული იყო მთავრობის ბრძანება დაერღვია. მოდის საბრალო დედა, მკლავზე ავათმყოფი შვილი უწევს, ფეხებში უვარდება და თხოვს:

— მიშველე, ღვთის გულისათვის მიშველე! რას იზამ აქ, როგორ გაუძლებს ამგვარ თხოვნას ადამიანის გული, თუ კი გულის ნაცვლათ ქვა არ უძევს კაცს. უნდა მართალი ვთქვათ, რომ სტუდენტი დოლგიხი ყოველის უწინ იყო კაცი, რომელიც ისე იქცევა, როგორც მას ადამიანური გრძნობა ჩასჩურჩულებს და არა ისე, როგორც პოლიციის მოხელე უბრძანებს.

ზოგიერთი სულ მდაბალი კაცუნები ამგვარ შემთხვევაში სრულიად ემორჩილებიან, კარგავენ ყოველივე კაცურ ღირსებას და მხეცდებიან. იმათში ქრება ადამიანი, რჩება მხოლოთ სახე.

დოლგიხი შეელოდა გაჭივრებულთ და ჩქარა დარწმუნდა, რომ კეთილი საქმისათვის ამ ქვეყნათ ყოველთვის აჯილდოებენ ადამიანს, მაგრამ აჯილდოებენ ძლიერ ხშირათ არა ისე, როგორც დაუმსახურებიათ.

ტიუკალინსკში აი რა მოხდა. ქალაქის თავის შვილი რევოლვერს სინჯავდა, უცებ გაუვარდა და ტყვია იქვე მჯდომ დედა-მისს მოხვდა ფეხში. რადგანაც ტყვია მთავარ ძარღვს მოხვედროდა, ამიტომ ჭრილობა საშიში გამოდგა. საჩქაროთ მოიყვანეს ადგილობრივი ექიმი, რომელმაც შეუხვია ჭრილობა და სისხლის დენა შეწყვიტა, მაგრამ ტყვიის ამოღება

ვერ გაბედა და ურჩია ქალაქის თავს სტუდენტი დოლგიხი მოეწვია, როგორც დახელოვნებული ხირურგი.

ქალაქის თავი საჩქაროთ მიიჭრა დოლგიხის სახლთან და შველა თხოვა.

— ძლიერ კარგი, მაგრამ მე არა მაქვს უფლება ავათმყოფს შემწეობა აღმოვუჩინო, უპასუხა მან.

— აქ ხომ საქმე ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს შეეხება. განა აქაც შეიძლება ყოყმანი?

— რა ვქნა, როგორ შემიძლია დაგეხმაროთ. თქვენ უთუოთ გეცოდინებათ, რომ ბ-ნი ისპრავნიკი არ არის ჩემთან კარგ განწყობილებაში და ერთხელ დიდი უსიამოვნებაც შემახვედრა ასეთი თავისუფალი პრაქტიკისათვის. ამასთანავე სასტიკათ ამიკრძალა გაუწიო ვისმეს დახმარება, რაგინდ უკიდურესი გასაჭირი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართალში მიცემას დამემუქრა.

— მე როგორც გამიგია თქვენ ციმბირში გადმოგასახლეს იმიტომ, რომ დახმარება აღმოუჩინეთ „დვორნიკებისაგან“ უმიზეზოთ გალახულ მოსწავლე ქალს და ნუ თუ ახლა თქვენი კაცთმოყვარული გრძნობა გაქრა, ნუ თუ თქვენში აღარ მოიპოება გულშემატკივრობისა და გაბედულობის კვალი, რომ დაეხმაროთ გაჭირვებულ ადამიანს, თუნდაც ამისათვის ციხეში ჯდომა მოგველოდეთ?

— მართალი ხართ; თუ ასე მოვიქცევი, ჭეშმარიტება თქვენ მხარეზე იქნება. მაშ იყოს ისე, როგორც თქვენა გსურთ. მე მზათა ვარ ოპერაცია გაიკეთო და ამისთვის დავისაჯო.

ჭრილობის გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ ოპერაცია ძლიერ საჩქარო არ იყო და ამიტომ დოლგიხის რჩევით გაუგზავნეს ტობოლსკის გუბერნატორს თხოვნა, რომელშიაც აწერილი იყო ხსენებული შემთხვევა და თხოვდენ ნება მიეცა დოლგიხისათვის ოპერაცია მოეხდინა. მაგრამ, საუბედუროთ, გუბერნატორისაგან პასუხათ მიიღეს, რომ ეს ნებართვა არ შედის იმის უფლებაში, რომ ასეთი ნებართვა უნდა ითხოვოს პირდაპირ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან პეტერბურგში და თანაც ურჩევდა თხოვნა მინისტრის სახელზე გაეგზავნათ. რადგანაც მინისტრთან თხოვნის გაგზავნა და იქიდგან ნებართვის მოსვლას ძლიერ ბევრი დრო ჭიროდა, ამიტომ დოლგიხმა ნება დაურთველათ მოახდინა ოპერაცია, რომელმაც ჩინებულათ ჩაიარა და ქალი გადარჩა, მაგრამ თითონ მკურნალი ისპრავნიკის ბრძანებით საპყრობილეში ჩაამწყვდიეს და აღთქმისამებრ სისხლის სამართალშიაც მიცეს.

— Fiat justitia, pereat mundus!.. მაგრამ სანამ მართლმსაჯულება თავისს საქმეს შვებოდა, სტუდენტი დოლგიხი საპყრობილეში ტიფით ავათ გახდა.

რა თქმა უნდა ყველა ამ ამბავმა დიდი მითქმა—მოთქმა გამოიწვია ქალაქში და როდესაც სტუდენტის ავათმყოფობა შეიტყვეს, მთელი ქალაქი აღელდა. თითქმის ყოველ საათობით მოდიოდენ საპყრობილეში სტუდენტის პატივის მცემელნი და მოჰქონდათ ვის ყვაკილები, ვის საშველი, ვის სხვადასხვა გვარი სასმელები, რითაც უცხადებდენ თანაგრძნობასა და სიყვარულს პატიოსანი საქმისათვის უსამართლოთ დასჯილ ახალგაზრდას.

მაგრამ ეს თანაგრძნობა არაფრათ ეჭაშნიკა ბ-ნ ისპრავნიკს.

— ეგ არ ვარგა. მნახველებმა შეიძლება სტუდენტს გაქცევაშიაც შეუწყონ ხელი. ასეთი ხალხისაგან ეს გასაკვირველიც არ არის და მაშინ მშვიდობით ჩემო სამსახურო, შეიძლება ადგილიც დავკარგო.

და აფრინა გუბერნატორთან თხოვნა. ისპრავნიკი თხოვდა გუბრნატორს სტუდენტი დოლგიხი ტიუკალინსკიდან სურგუტში გადაეყვანათ, რადგანაც აქ იმის ყოფნას ძლიერ ცუდი გავლენა აქვს მცხოვრებლებზე. სტუდენტის ავათმყოფობის შესახებ ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი. პასუხი ძლიერ ჩქარა მოვიდა. გუბერნატორმა დააკმაყოფილა ისპრავნიკის თხოვნა და ნება დართო სტუდენტი დოლგიხი ეტაპით სურგუტში გაეგზავნათ.

ბრძანების სისრულეში მოყვანა ისპრავნიკმა დარაჯებს დაავალა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა ვარი უთხრეს, ჩვენ არ შეგვიძლია უგრძნობლათ მწოლიარე ავათმყოფი ამ დროს სადმე წავიყვანოთო. ამბავი ეს ოქტომბერში მოხდა.

მაგრამ რადგანაც ბრძანება უთუოთ უნდა ასრულებულიყო, ამიტომ თითონ ისპრავნიკი დატრიალდა, საზოგადოთ გადასახლებულებთან და კერძოთ „პოლიტიკური“ დანაშაულობისათვის გაგზავნილებთან მორიდება ერთნაირ დანაშაულობათაც მიაჩნია აქაურ ადმინისტრაციას. ამიტომ ისპრავნიკმა შეაბა დროგი, გაიყოლია თან რამდენიმე პოლიციელი და დოლგიხის სახლს მიადგა. კარებში სტუდენტის ცოლი გამოეგება, რომელსაც ისპრავნიკმა მედიდური სახის გამომეტყველებით გადასცა გუბერნატორისაგან მიღებული ბრძანება.

— კარგი, მაგრამ ის რომ უგრძნობლათ წევს?

— ძლიერ ვწუხვარ, მაგრამ მე ვალდებული ვარ მთავრობის განკარგულება სისრულეში მოვიყვანო.

— რა ვქნა, იმას არაფერი არა აქვს ისეთი... თბილი ტანზე რო ჩაიცვას...

— ნუ გედარდებათ, ისეც წავა. თქვენ ქმარს ხო ზედ მეტი სიცხე აქვს და აი სიცივეზე ცოტათ გაგრილდება, მიუგო უგრძნობელმა ისპრავნიკმა.

მარტო პერანგისა და ზეწრის ამარა გამოათრიეს გარეთ საშინელს ყინვაში.

ვინ იცის, რა შეემთხვეოდა, რომ ერთ გამვლელს არ შებრალებოდა და თავისი თბილი ქურჭი არ გადაეხურა თავგანწირული და კაცთ-მოყვარე სტუდენტისათვის.

ვერც სიცივემ და ვერც ქარბუქმა ვერ შეუშალა ხელი ისპრავნიკს თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. ამგვარათ დოლგიხმა ოშიმში ამოყო თავი. აქედან სხვა „გადასახლებულთაგან“ გუბერნატორს გაეგზავნა ტელეგრამა, რომელითაც ეკითხებოდენ, თუ მართლა გასცა მან ასეთი ყოველივე ადამიანურ გრძნობას მოკლებული ბრძანება. ტელეგრამის მიღებისთანავე გუბერნატორმა შეცვალა თავისი განკარგულება და ნება დართო სტუდენტი საავათმყოფოში დაეწვინათ, სადაც ამბანაგების მოვლითა და აგრეთვე თავისი მაგარი აგებულობის წყალობით სრულიად განიკურნა.

ყველაფერი კარგია, რაც კარგათ თავდება. ისპრავნიკმა თავისი ზედ-მეტი გულმოდგინეობისათვის მიიღო რის ღირსიც იყო, ხოლო ჯანზე მოსულ დოლგიხს ნება მისცეს ანტროპოლოგიური გამოკვლევა მოეხდინა სემიპალატინსკის ახლო-მახლო ადგილებში.

— ნუ თუ ეს მართალი ამბავია?—იკითხავს მკითხველი. ნამდვილ თუ მოგონილი არ ვიცი, მაგრამ თვით იმის წარმოდგენა, რომ შეიძლება ეს მართალი იყოს, ძლიერ სამწუხარო ფაქტია.

N.

ქუთათურის შენიშვნები.

II.

წინა წერილი ექიმების აქაურ მოქმედებაზე ლაპარაკით გავათავე და დღესაც მათით უნდა დავიწყო ჩემი შენიშვნები. იმათზე ლაპარაკი კი დღეიდან უფრო საინტერესო უნდა დარჩეს, რადგან მათი 12 წლის კარჩაკეტილებას ბოლო ელება. ამ მოღვაწეობაში დამსახურებულმა თავმჯდომარე სეერგეენკომ ექიმ ქორქაშვილთან მომხდარ ინციდენტის გამო ოფიციალურ წერილით თავი გაანება და 25 იანვარის კრებაზე მის მაგიერ (კენჭით 3 წინაღმდეგ) აირჩიეს აქაურ ინტელიგენციის ერთი წარმომადგენელი ექიმი დ. ნაზაროვი, ასე რომ ამას შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ ხსენებული ზასოგადოების კარები გაზეთებისათვის აღარ დაიკეტება.

აგერ ერთი იანვრის თვის განმავლობაში სამი კრება ჰქონდათ ექიმებს. აქ ისინი სხვა ქალაქების კოლეგებს აღარ ჩამორჩენ და შესაფერისათ დაგმეს ღენერალ კოვალიოვის ველური და მხეცური მოქმედება. ამათ თანაგრძნობა მახლობელ თავიანთ ამხანაგებსაც არ მოუკლეს და სრული განკურნება უსურვეს ზაბუსოვზე არა ნაკლებ უსამართლოთ დასჯილ ახლახან საურთიერთო ბანკის თავმჯდო-

მარეთ არჩეულ ექიმს სიმონ ლორთქფანიძეს, რომელიც ხსენებული ბანკის ძველი ცოდვების მსხვერპლი შეიქნა. სრული განკურნება უსურვეს აგრეთვე ამხანაგს მ. ძნელაძეს, რომელიც დღეს ლოგინათ არის ჩავარდნილი. ექიმ ქორქაშვილის წინადადებით სათანაგრძნობო წერილი გაუგზავნეს აგრეთვე ამ საზოგადოების წევრს ექიმ ნიკ. ჰიჰინაძეს, რომელიც სამი თვის წინეთ მისდაუნებურათ მოაშორეს ქუთაისს. ექიმ ნასარიძემ კი ესეც არ იკმარა და ურჩია საზოგადოებას, რომ დროის შეუფერებელი და ურიგო არ იქნება შუამდგომლობა აღვძრათ მისი დაბრუნების შესახებო, რაც მეტათ ჩამოართვეს უხუცესმა ამხანაგებმა.

25-ის კრებაზე ექიმ ნაზაროვმა გაახსენა წევრებს, რომ ერობის შესახებ მათ შუამდგომლობას, რომელიც კავკასიის ექიმთა მეორე თავყრილობაზე იყო წარდგენილი, არავითარი შედეგი არ მაყოლია; აგერ მეოთხე წელიწადია მის შესახებ არა ვიცით; ამიტომ ხელახალი მოხსენება გავგზანოთ, სადაც აჯობებს, რომ გავიგოთ მაინც რა ბედი ეწვია იმასო. ზოკი თფილისის სამკურნალო საზოგადოების ან ძველი მისი ბიუროს საშუალებით არჩევდა ამ შუამდგომლობის ბედის გაგებას, ზოგი მთავარმართებლის კანცელარიაზე უთითებდა, ხოლო ექიმი ქორქაშვილი, ადგილობრივ ბიუროკრატიაზე გულგატეხილი, პეტერბურგისაკენ მიიწევდა და იქ მინისტრთა კომიტეტშია ხსნაო, ურჩევდა ამხანაგებს. დღეს ეს კომიტეტი მთელი რუსეთის საჭირ-ბოროტო საკითხებს არკვევს და ჩვენში ერობის საჭიროების საკითხიც იმათ გავაგებინოთ პირდაპირ და ეს უფრო უახლოესი გზა იქნება ჩვენი მიზნის მისაღწევათო. დღეს, დაუმატა მან, ყველამ კარგათ იცის როგორ არ თანაუგრძნობდენ ამ საკითხს ადგილობრივი მართვა-გამგეობის უცხო წარმომადგენელნი ლ მათში უპირველესათ მთავარმართ. ყოფილი გოლიცინი. ამისათვის ნურც გიკვირთ, თუ ჩვენში ერობის შემოღების და სხვა საკითხები აქაურ კანცელარიებს არ გასცილებია, გზის სინათლე არ დაუნახავსო. ბ-ნი ქორქაშვილის სიტყვამ გამოიწვია დიდი აყალმაყალი წევრებში და ერთმა იმათგანმა წამოიძახა: „ამაებზე ლაპარაკის ნება ჩვენ არც კი გვაქვს“.

ჯერ-ჯერობით ყველა ამ აურ-ზაურს ის მოყვა შედეგათ, რომ ექიმი ქორქაშვილი დროებით თემინხაშურაში გადაიყვანეს.

იანვარში მომხდარმა ამბებმა ქუთაისსაც სულ სხვა ელფერი დასდო. ორი კვირის შეიარაღებულ დარაჯებისა და კაზაკების შიშიანობამ ჩაიარა; ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, მცხოვრებლებიც მშვიდობიან მოქმედებას შეუდგენ და ყველა შეჩერებულ, დაბრკოლებულ საქმეების გამოგვარებაშია. დღეს ყველა გრძნობს წამხედურობით მაინც, რომ ხალხის გულის ტკივილებს წამლობა უნდა და ეს თუ ისე ყველა ზომებს იღებს მის საეჭიროთ. რა საკვირველია, ეს „ზომები“, როგორც ახალი ხილი, ჯერ კიდევ ფართო ნიადაგნი არ არიან და ფრთხილი დასაწყისი აქვთ, მარა აქაურ მოდუნებულ ცხოვრებაში ქუთათურებს ესეც გვაკვირვებს და სიამოვნებას გვგვრის...

ამ მხრით პირველი ნაბიჯი „ლათინურ სამზარეულოს“ ცხოვრებიდან გაისმა, თუმცა დროის ანუ მათებურით „ფეხის ამყოლმა“ ბევრ დიპლომიანებს ძალიანაც არ მოსწონდათ და ფარმაცევტებთა დღევანდელ საქციელს „ავათმყოფებთან ბრძოლა“ დაარქვეს, მარა დაკვირვებით საქმის ვითარების გაცნობის და მოლაპარაკების შემდეგ აი რა მოთხოვნილებები დაუკმაყოფილეს მათ. 1, შემოღებული იქმნას დღეში ორი „სმენა“. შვიდ-შვიდი საათის დღიური მუშაობა შეცვლა, 2. ფარმაცევტებს ბინისა და სასმელ-საჭმლის ფასი ხელწე 30 მან დღემდი მეაფთიაქრებთან ხარჯობდენ და მათსავე ოთახში იდგენ მოსამსახურე ფარმაცევებები). 3. აფთიაქის შეგირდებს მიეცეს პირველ წელიწადს თვეში 10 მ, მეორეს—15 მ. და მესამეს—25 მ. 4. პროვიზორის თანაშემწეს—45 მ. პირველ წელიწადს, 50 მ. მეორეს და 55 მ. მესამეს. 5. შტატგარეშე მოსამსახურეებს არ უნდა იღებდენ აფთიაქში. 6. ავათმყოფობის დროს მოსამსახურეებს ერთი თვის განმავლობაში უნდა ეძლეოდეთ ჯამაგირი და ადგილიც არ უნდა დაუკარგონ. 7. დათხოვნისას მოსამსახურეებს უნდა მიეცეთ ერთი თვის ჯამაგირი და დათხოვნაც უნდა ეცნობოს ერთი თივთ ადრე. 8. გაათავისუფლონ ფარმაცევტები და შეგირდებიც არა ფარმაცევტიულ საქმეებიდგან (შტამღაზების და შუშების წმენდა, გაგზავნ-გამოგზავნა და სხვ). 9 ღამღამობით მორიგეულმა თანაშემწის და შეგირდის. 10. მოსპონ არსებული დამხმარებელი კასსა. 11. სამსახურის პირველ წელიწადს ორი კვირის თავისუფლება ჯამაგირის გამოუკლებლათ და 12 არავინ დაითხოვონ გაფიცვების გამო.

ქუთათურმა მეაფთეაქრებმა იმდენი დროის შესაფერი გამბედაობა იხმარეს, რომ გარდა სამი უკანასკნელი მუხლებისა, ფარმაცევტების მოთხოვნილება სამართლიანათ იცნეს და ესენიც შეუდგენ ჩვეულებრივ მუშაობის გაგძობას, თუმცა ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, პირველების მხრით ეს მოსატყუებელი მახე იყო და მალე ისევ შავი კატა ჩამოირბენს შუაშიო. ჩვენ არ გვინდა ბოროტთა ამგვარი ნათქვამობა დავიჯეროთ, რადგან ახლა უკან დახევა საზოგადოთ მეტათ დროის შეუფერებელ იქნება და კერძოთ მუდამ წინსვლისაკენ მომავალ იმერელი ხალხის შემარცხვენელი...

სასიამოვნოა აგრეთვე, რომ თავიანთ მხრითაც ქუთათურ ფარმაცევტებს სამაგიეროთ ერთგვარი პასუხის მგებლობათ უკისრნიათ: ურთიერთ შორის სამხანაგო სამართალი შემოუღიათ. აქ ისინი თავიანთ ამხანაგებს განსჯიან რაიმე ცუდი, საერთო მავნებელ საქციელისათვის და შესაფერ ზომებს მიიღებენ იმათ გასასწორებლათ.

შეთანხმების, ნოქართა მოთხოვნილების და დაკმაყოფილების გზას ადგიან აგრეთვე აქაური ვაჭრებიც. პირველი ნაბიჯი ამ მხრით უკვე გადადგეს და დაადგინეს, რომ საქმე დღეებში დუქნები გააღონ 1 ოქტომბრიდან 1 აპირილამდე დილის 8 სათიდან საღამოს 7-დი, ხოლო აპრილიდან ოქტომბრამდი დილის 8-დან საღამოს 8 საათამდ. კვირა-უქმე დღეებში კი სრულიად არ იქნება ვაჭრობა. დანარჩენ მოთხოვნილებაზე ჯერ ვერაფერი გადაჭრილ გზას დაადგენ. მხოლოთ თავისუფლებისათვის ვერ იმეტებენ, გარდა თითო-ოროლა მსხვილებისა, თავიანთ ხელქვეითებს, ხელოსნები, განსაკუთრებით მეწყლე, მეჩექმე, დურგლები თერძები და სხ. ამათ სახელოსნოებში ისევ ძველებური ადათი სუფევს და თუ იმათი უმრავლესობა 8 საათის იქით დუქნის დარაბებს ხურავს, შიგ ღამის 11—12 საათამდის ისევ ძველებურათ შრომას ეწევიან თვალებ ჩამოფხატული, მყვინთავი შეგირდები თითო უფროს ხელოსნის, ქარგლის თავზედმურობით...

იმ.

თფილისის საბჭოს დარბაზში.

7 თებერვლის საღამოს არა ჩვეულებრივი ელფერი ედვა. საბჭოს დარბაზი ხალხით იყო გატენილი. აქამდის უხმო ხმოსნები 7 თებერვალს არა-ჩვეულებრივათ ალაპარაკდენ. ბევრი საჭირ-ბოროტოთ კითხვა უნდა გარჩეულიყო ამ დღეს და სწორეთ ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოს დარბაზს აჟარებელი ხალხი მოაწვა. წაკითხულ იქმნა 46 ხმოსნის მოხსენება მეეზოეეთა ინსტიტუტის მოსპობის შესახებ. ლაპარაკობდენ ცხარეთ, გრძნობით. ხმოსნების აზრით ადმინისტრაციამ 3000 ჯაშუში ჩაუყენა თბილისის მოქალაქეთ. ეს ჯაშუშები,

დაჭირავებულნი ვითომ და ეზოს გასასუფთავებლათ, თავის საქმეს არ ასრულებენ, მთელი დრო პოლიციის განკარგულების ქვეშ არიანო, ჩვენი ბედ-იღბალი დამოკიდებულია „დვორნიკისაგან“, რომელიც ყოველ წუთში მზათ არის მიირბინოს პოლიციის განყოფილებაში და დაგვაბეზღოსო და მერე ხომ იცით რა მოსდევს „დვორნიკის“ დაბეზღებას—ციხე, ცემა-ტყეპა და ათასგვარი ძალმომრეობა. ჩვენ საცემ-სატყეპათ დაგვაქირავებინა „დვორნიკები“ ადმინისტრაციამ, რომელიც ამ საქმისთვის სავუცხოვოთ ავარჯიშებს და წრთვნის მათ. აბა შეხედეთ „დვორნიკებს“ დარბევის წინა დღეს... რა აღტაცებით მოელიან ისინი, კეტებით შეიარაღებულნი, ხვალინდელ დღეს!.. რა შეუბრალებლათ დაგვიწყებენ ხოლმე მერე ცემას ჩვენაგე მოსმსხურნი!! ბევრს ხმოსანს თავალით უნახავს, რომ 28 იანვარს მეეზოვენი უმოწყალოთ ცემდენ სრულიად უდანაშაულო ხალხს, არ ინდობდენ არავის—არც ქალებს არც ბავშვებს. მერე ვინ დაავალა მეეზოებს წესიერების აღდგენა? მხოლოთ ადმინისტრაციამ, წინააღმდეგ არსებული კანონისაო. კაცს ვჭირაობდე, ფულს ვაძლევდეო; ლაპარაკობდა ხმოსანი ქოჩორიანცა, და იმის მაგივრათ, რომ მე მემსახუროს, მევე მცემსო. არ გვინდა ბატონო, არც მაგათი გაძლიერებული წესი, არც „დაცვა“ და არასფერიო. ოღონდ თავი დაგვანებონ და ჩვენ მოუვლით ჩვენ თავსაო. საბჭომ ერთხმათ მოიღო 46 ხმოსნის წინადადება და დაადგინა: აღიძრას შუადგომლობა მეეზოვეთა ინსტიტუტის მოსპობის შესახებ.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება 33 ხმოსნისა, რომელთ წინადადებით საბჭომ, ერთ ხმათ, ულაპარაკოთ 2000 მანეთი გადადო 23 იანვარს დაზარალებულთა სასარგებლოთ. კრებამ მოისმინა აგრეთვე წინადადება 38 ხმოსნისა, რომელნიც 23 იანვარს ამბების გამოძიებას და ქალაქის მუშათა მდგომარეობის გამოკვლევას თხოულობენ. ხმოსანმა არგუთინსკიმ გრძნობით დაასურათა 23 იანვარს მომხდარი უბედურება და სხვათა შორის თქვა: ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ მუშები არიან ჩვენი მარჩენელნი, ბევრნაირათა ვართ ჩვენ მათგან დამოკიდებულნი, მაგრამ, სამწუხაროთ, სრულებით არა ვიცით რა ამ ჩვენი მრჩენელების შესახებ, არ ვიცით როგორ ცხოვრობენ, რას საჭიროებენ... ვიცით მხოლოთ ის, რომ მუშები მოკლებულნი არიან თითქმის ყველა უფლებებს. ის, რაც სხვისთვის კანონიერია—მუშებისთვის აკრძალულია; კანონი სასტიკათ სჯის მათ, როდესაც ისინი იკრიბებიან და თავიანთ ჰირ-ვარამზე თათბირობენ, მაშინ როდესაც მთავრობა მექარხნეს დახმარებასაც კი უწევს გაფიცვის დროს... იმ დროს, როდესაც ჩვენ თვალ წინ ათასგვარი უსამართლობა ხდება, ჩვენ ლაპარაკის ნებასაც კი არ გვაძლევენ.

23 იანვარს პოლიციამ ქალაქი აიკლო, ყაზახები და დვორნიკები ხალხს მიუსია... მრავალი მოქალაქის სისხლი დაიღვარა იმ დღეს ტფილისის ქუჩებში. . უმოწყალოთ ცემდენ ყველას—ქალებს, ბავშვებს, მოხუცებულებს!. პრესა კი ამ დროს სდუმდა, კრინტსაც ვერ ძრავდა. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ დაუყოვნებლივ მოვითხოვოთ სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლება და კანონის წინაშე საზოგადოების ყველა ნაწილის თანასწორობაო. ქალაქის მოურავმა წაუკითხა კრებას 700 მოქალაქის მოხსენება, რომელნიც თხოულობენ მეეზოვეებისაგან დაფარვას და „დვორნიკთა“ ინსტიტუტის მოსპობას. ამასთან ერთათ წაკითხულ იქმნა ნაფიცი ვექილების და მათი თანაშემწეების რეზოლიუცია. ვექილები პრთტესტს აცხადებენ ადმინისტრაციის მხეცურ მოქმედების შესახებ და გადაუწყვეტია დაზარალებულ მუშებს იურიდიული და მატერიალური დახმარება გაუწიონ.

ხმოსანმა გიორგი თუმანიშვილმა წინადადება შეიტანა—ვიშუადგომლოთ, რომ 1899 წლის 15 მაისის დროებითი წესები მოისპოს. ამის შესახებ სიტყვა წარმოთქა მხოსანმა ალ. არგუთინსკიმ, რომლის აზრით ადმინისტრაციის განუსაზღვრელ უფლებას კავკასიაში ბევრი ვნება მოაქვსო. ხმოსანმა გაახსენა კრებას, თუ როგორ ჩაერია საქმეში ადმინისტრაცია, როდესაც ქალაქმა ტრამვაის გამოყიდვა მოიწადინა და ეს მომგებიანი საქმე ხელიდან გამოაცალა. ვითხოვეთ ქალაქში საჯარო სამკითხველოს გახსნა და ადმინისტრაციამ უარი გვითხრაო; ვითხოვეთ უმაღლესი სასწავლებელის გახსნა და ამაზედაც უარი გვითხრესო. ყოველ ჩვენ კეთილ განზრახვას მთავარმართებელი წინ ელობებოდაო და ბოლოს პასუხის გებაშიაც კი მისცა ყველა საბჭოს წევრებიო. ყველა ამან ქალაქის საქმეები, რასაკვირველია, უკან დასწია. საჭიროა, რომ ეს სავანგებო უფლებები მოისპოს ჩვენშიო,—ამბობდა მხოსანი. მაგრამ ეს არ კმარა: იქ, სადაც არ არსებობს თავისუფლება სიტყვის, კრებებისა, კავშირებისა და გაფიცვებისა, იქ, სადაც გამეფებულია ადმინისტრაციის თვითნებობა, ძალმომრეობა, საზოგადოებრივი ცხოვრების რიგიანი მოწყობა შეუძლებელიაო; ხალხი შფოთავს დღეს ამისგამო, აბობოქრებულ ზღვას მოგვაგონებთ დღეს მთელი რუსეთი... რომელის დამშვიდება მხოლოთ მაშინ შეიძლება, როდესაც დამყარდება კანონიერება. კანონიერი და მშვიდობიანი ცხოვრება კი მაშინ დამყარდება, როდესაც კამონმდებელი ხალხი იქმნება, როდესაც თვით ხალხი განაგებს თავის ყოფაცხოვრებასო. ხმოსნის სატყვას აღტაცებით მიეგება დამსწრე საზოგადოება. ამით გათავდა 7 თებერვალს სხდომა.

ვისურვებთ, რომ ამისთანა სხდომები თფილისის „მამებს“ ბევრჯელ მოეხდინოთ*).

საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები.

(რუსულიდან თარგმ. ლ. ელიავასი)

(შემდეგი.—იხ. „მოგზ.“ № 4).

III.

ქალაქის დემოკრატია ძველათ.

როცა გარემოება ხელს უწყობდა, თემობითი ცხოვრება დემოკრატიის ახალ აღორძინებას ედებოდა საფუძვლათ.

ეკონომიური ურთიერთობის შემდეგმა განვითარებამ აღმოაცენა და დაამაკვირდა ხელობა და ვაჭრობა იმ თემებში, რომელთაც საამისოთ ან მოხერხებული ადგილი ეკავათ ან პოლიტიკური პირობები უწყობდა ხელს. ასეთ თემებში მცხოვრებთა რიცხვი და მათი სიმდიდრე მატულობდა. აი ამ სიმდიდრის და თავის თავის დასაცავათ თემებმა ირგვლივ შემოივლეს ზღუდე და ქალაქებათ გადაიქცენ. ასეთი ქალაქები განსაკუთრებულ კარგ პირობებში დიდ ძალას და გავლენას იხვეჭდა. ბევრმა მათგანმა მოახერხა თავის დამოუკიდებლობის შერჩენა ან ხელ ახლა დაბრუნება თუ დაკარგული ჰქონდა. ზოგმა იქამდისაც მიახწია, რომ თვით გახდა მბრძანებელი, სხვა თემები დაიპყრო, სახელმწიფოები დაარსა; ზოგი ასეთი სახელმწიფო სივრცით მონარქიასაც არ ჩამოუვარდებოდა, ასეთია, მაგალითათ ათინის სახელმწიფო. გარდა ამისა, ყველამ კარგათ იცის თუ რა ვეებერთელა, მსოფლიო სახელმწიფო შექმნა რომის ქალაქის თემმა.

---

*) აქ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ როდესაც მუშებზე და მათი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე ლაპარაკობდენ ერთი, მხოსანი (გენერალი) სხდომიდან წავიდა.

ქალაქის სიმდიდრისა და ძლიერების ზრდასთან ერთათ თვით ქალაქში მწვავე სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული.

გლეხის უბანი პირველათ სასოფლო თემის მსგავსი იყო. მიწები, რომელიც ჯერ კერძო მესაკუთრის ხელში არ გადასულიყო, თემს ეკუთვნოდა. ყველა მცხოვრებლები თემის წევრებათ ითვლებოდა და სათემო მიწებით საერთოთ ან ცალცალკე თემისაგან მიერ დადგენილი წესის თანახმათ სარგებლობდენ.

თუ თემში ვინმე უცხო მოვიდოდა, რაც ძლიერ იშვიათათ მოხდებოდა ხოლმე, რადგან მეურნეობა მტკიცეთ აკავშირებს მიწათმოქმედს მიწასთანაც და თუ თემი მას მიიღებდა, მაშინ იგი სრულ თანასწორ უფლებიან წევრათ ხდებოდა, მიწა ხომ მაშინ საჭიროზე მეტიც იყო.

ზემოთ აღნიშნული წესი პირველათ ქალაქებში შეიცვალა. კალაქი ძლიერ იზრდებოდა ახლო მახლო და შორეულ მცხოვრებთ, ზოგჯერ უცხო ქვეყნელებსაც, რადგან მისგან დიდ სარგებლობას გამოელოდენ. შემოსახლებულთა რიცხვი მატულობდა, რის გამო მიწის სივიწროვე საგრძნობელი შეიქნა, მას ფასი დაედვა. ამ მიზეზით თემის ძველმა წევრებმა შემოსახლებულებისთვის მიწების ძლევას თავი დაანებეს და თანასწორ უფლების მატარებლათ მხოლოთ თვით თავისი თავი გამოაცხადეს. ამგვარათ თემი შეიქნა კარჩაკეტილი ორგანიზაცია. ამით იწყება ბრძოლა თვით ქალაქში: გაჩნდენ ერთი მხრით მიწათმფლობელი და ვაჭარი არისტოკრატია, პატრიციატი, და მეორე მხრით დანარჩენი მკვიდრნი—პლებეები, რომელთაც არა თუ სათემო მიწებით სარგებლობის ნება არ ჰქონდათ, არამედ სახალხო კრებებზე მონაწილეობის უფლებასაც მოკლებული იყვენ, მაშინ როდესაც ამ კრებების ხელში იყო საკანონმდებლო და სამოსამართლო უფლებები და საზოგადოების მართვა-გამგეობის მეთვალყურეობა.

ეს თემიდან გამორიცხულნი თავდაპირველათ მოთმინებით იტანდენ თავის უუფლებობას, სანამ იმათ შემოსვლის უფლებიანი წევრები თურგუნიდენ მათ თუ ყოველთვის თავის უმეტესობით არა, ეკონომიური მნიშვნელობით მაინც; მარა პატრიციების ეკონომიური მნიშვნელობა თანდათან კლებულობდა, უუფლებო პროლეტარიების კი ძლიერდებოდა, რადგან მათი რიცხვი და ეკონომიური გავლენა მატულობდა. მიწათმოქმედებამ ქალაქის ცხოვრების საფუძვლობაზე ხელი აიღო და პირველ ადგილზე ვაჭრობა-მრეწველობა წამოიჭიმა. ეკონომიური ძალა მიწათმომქმედიდან ვაჭარ-ხელოსნებზე გადავიდა. რაც უფრო წინ მიდიოდა ასეთი განვითარება, მით უფრო მეტ ძალას გრძნობენ ვაჭარ-ხელოსნები და მით უფრო აუტანელი ხდებოდა მათთვის უუფლებობა, და მით უფრო მედგარ წინააღმდეგობას უცხადებდენ პლებეები პატრიციებს. რა ექნათ? პატრიციები იძულებულნი შეიქმნენ დაეთმოთ: პლებეებმა მოიპოვეს უფლება მმართველობაში მონაწილეობის მიღებისა და სათემო მიწებით სარგებლობისა. პლებეების მონაწილეობამ ქალაქის გამგეობაში თანდათან იმატა და შესამჩნევი ძალა მოიპოვა დანარჩენ კლასებთან შედარებით.

ზოგჯერ საქმე იქამდის მიახწევდა, გარემოება ისე შეუწყობდა ხელს, რომ სამმართველო კრებაში, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა უფლება კანონები გამოეცა, თანამდებობის პირები აერჩია და რამდენიმეთ სასამართლოს საქმეებიც ეწარმოებია, მთელი ხალხი იღებდა ადრინდელურათ მონაწილეობას.

ახალ საფუძველზე ძველი დემოკრატიის ასეთი განახლების ბრწყინვალე მაგალითს ქ. ათინა წარმოადგენს, რომელიც დიდი სახელმწიფოს შუაგულ ადგილათ, ცენტრათ გადაიქცა.

რა შედეგი მოყვა ამ პირდაპირ სახალხო კანონმდებლობას?

დიდი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მეტათ რთული და ძნელი საქმეა; ათინელებმა გამოიჩინეს სრული უნარი ჰკუიანს მიჰყავა-გამგეობაში, მხოლოთ ეგაა თითქმის მთელი თავისი დრო ამ საქმესთვის უნდა მოენდომებინათ.

ასეთმა გარემოებამ პოლიტიკური უფლება ფაქტიურათ ხალხის იმ ნაწილს ჩაუგდო ხელში, რომელსაც შეეძლო მთელი თავისი დრო შეეწირა ამ საქმისათვის, მარა ამ ნაწილში არც მახლობელი სოფლის გლეხობა შედიოდა, იმისდა მიხედვათ თუ რაოდენი მოქალაქეობრივი უფლება ჰქონდათ ათინაში მათ და არც ქალაქის ხელოსნები. სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, კანონმდებლობა და უმაღლესი სასამართლო იმ პირთ ჩაუვარდა ხელში, ვინც სხვისი ნაოფლარით ცხოვრობდა, მუქთა-ხორა მდიდრებს და მეორე მხრით მუქთა-ხორა ღატაკებს: ე. ი. მსხვილ მიწის მესაკუთრეთ, მსხვილ ვაჭრებს, მექარხნეებს [1]) და პროლეტარებს [2])

კლასს გარეშე დარჩენილ (деклассированный [3]) პროლეტარისათვის არ არსებობს კლასობრივი ინტერესი. პოლიტიკური უფლება მისთვის მხოლოთ საშუალებაა დაიკმაყოფილოს თავის პირადი, დროებითი ინტერესები, და ვერასოდეს ვერ აწარმოებს სახელმწიფოს საქმეებს ერთი რომელიმე განსაზღვრული კლასის ინტერესების მიხედვით. პროლეტარები თავის პოლიტიკური გავლენით ვაჭრობდენ, ვინც მეტს მიცემდა, მას მიყიდდენ, ე. ი. მდიდრებს. მდიდრები იმათ გულს მოწყალებით და დღესასწაულების გამართვით, ე. ი. „პურით და გასართობით“ იგებდენ. სწორეთ ისე, როგორც რომში, მხოლოთ აქაური გასართობი აქ სხვა ნაირი იყო. ამის საშვალებას კი მონობა იძლეოდა. ერთი მხრით იმის გამო, რომ საშუალო კლასებს სურდათ მდიდრების გავლენა პროლეტარებზე შეესუსტებიათ, და მეორე მხრით თვით პროლეტარებს სურდათ რაც შეიძლება მეტი პირადი სარგებლობა ენახათ სახელმწიფო საქმეებში ჩარევით, წარმოდგა სხვადასხვა გვარი დაჯილდოება საზოგადო საქმეებში მონაწილეობისათვის: შემოიღეს ჯამაგირები სასამართლო და სახალხო კრებებში, ასე გასინჯეს გასართობზე დამსწრესთვისაც ჯამაგირი შემოიღეს. რას უნდა დაეფარა ეს ხარჯი? ერთი მხრით მდიდრებზე გაწერილ გადასახადით, ე. ი. მონების შრომით მოპოებული ქონებით, რომლებიც ხელახლა ათინელთა გაბატონებული ხალხის მარჩენალი შეიქნა და მეორე მხრით, იმ გადასახადებით, რომელიც შემოქონდა დამოკიდებულ მოკავშირე თემებს.

ეს კიდევ არაფერი. პერიკლის დროიდან ათინელი სახელმწიფო მოღვაწეები პოპულიარობის, გავლენის, მოსახვეჭათ რაც დამარცხებულ მტერს მამულებს ჩამოართმევდენ, კლერუბათ, ე. ი. უბნებათ, დაყოფდენ და ათინელ მოქალაქეთ ურიგებდენ. ასეთი უბნების მიმღებთ დაერქვა კლერუხები, ე. ი. უბნის მეპატრონეები. თუ ამ ზომებით სახელმწიფო მოღვაწეებს უნდოდათ არაფრის მქონებელი მოქალაქე მიწის მუშათ გაეხადათ, უნდა გამოვტყდეთ, ეს ზომა სრულიად უვარგისი იყო. პროლეტარებისთვის ბევრათ უფრო სასიამოვნო იყო სრულიად უშრომლათ ათინაში ექეიფათ და მხიარულათ დრო გაეტარებიათ, ვიდრე სოფელში ჰაპანწყვეტით ეტარებია ერთ-

---

[1]) ათინაში მრავალი ისეთი ქარხანა იყო, სადაც მონები მუშაობდენ. ერთხელ პელოპონესის ომის დროს, სპარტელების მიერ დაკავებულ დეკელიას გაიქცა ათინიდან არა ნაკლებ 20,000 მუშისა, მათგან უმეტესობა ქარხნის მუშა იყო. დემოკრატთა პოლიტიკოსი კლეონ „მეტყავე“ ხელოსანი კი არა, ტყავის ქარხნის მეპატრონე იყო.

[2]) როგორც შემდეგიდან მკითხველი გაიგებს მაშინდელ პროლეტარებსა და დღევანდელ პროლეტარებს შორის არავითარი მსგავსება არ არის. მთარგმნელი.

[3]) Деклассированный ეს ის პირია, რომელიც თავის კლასს მოშორდა და არც სხვა რომელიმე კლასშია შესრული.

ფეროვანი ცხოვრება. აგრეც მოხდა. მათ ქალაქში არჩიეს დარჩენა და მიწები კი ძველ მეპატრონეებზე გასცეს იჯარით. ამგვარათ, კლერუხიამ არსებითათ ის ცვლილება მოახდინა, რომ პროლეტარებს მიუჩინა გადამხდელი გლეხები სოფელში, რომლებიც მათთვის მუშაობდენ. ეს წესი საკმაოთ გვიხსნის, თუ რათ ჰქონდა ათინელებს უზომო წადილი ჩაეგდოთ ხელში სხვისი მიწები. ამასთანავე ეს გარემოება იმ საოცარი სიმძულვარის მიზეზსაც ცხად-ყოფს, რომელსაც გრძნობდენ ათინელებისადმი ყველა ქვეშევრდომი თემები.

ასეთი ზომებით მდიდრების გავლენა ხალხის ღარიბ და უქმ ნაწილზე კი არ შესუსტდა, წინააღმდეგ საშუალო მშრომელმა ხალხმაც კი მუშაობაზე გული აიყარა და პოლიტიკურ მოღვაწეობის საშუალებით შეუდგა გამდიდრების წყაროს ძიებას. ასეთი წესი სწორეთ რომ სულ ახალ-ახალ პროლეტარებს მატებდა სახელმწიფოს.

სანამ დაქირავებული პროლეტარები გაჩნდებოდენ, დემოკრატიას მხოლოთ მშრომელი, საშუალო კლასი, ე. ი. გლეხები და ხელოსნები უპერდენ მხარს. პროლეტარები კი მხოლოთ თავის უფლებობით და თავისუფლებით ვაჭრობდენ და ვერასოდეს ვერ ბედავდენ სერიოზულ ბრძოლაში ჩარევას. აი ამიტომ, როგორც კი ათინის მცხოვრებთა მასსა გაპროლეტარდა, ხალხის თავისუფლების დამხობა აუცილებელი შეიქნა.

ამ გზით მიდიოდა განვითარება, როგორც ვიცით, რომშიაც.

ამგვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ „პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა“ აქაც, როგორც ბარბაროსობის ხანაში, სხვის შრომაზე იყო დაფუძნებული. ბარბაროსობის ხანაში ქალების შრომა, ცივილიზაციის—მონების და მოხარკეთ. და როგორც ველურ ხანაში საყოველთაო თავისუფლებას დესპოტიზმი მოყვა, ისევე დესპოტიზმით დასრულდა ქალაქის თემთა დემოკრატიის ახალი აღორძინებაც.

(შემდეგი იქნება).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსულ გაზეთებში ამ უკანასკნელ დროს დაჟინებით ლაპარაკობენ საერობო კრების—„ზემსკი სობორ“-ის—მოწვევის შესახებ. „ნოვ. ვრ.“-ს რედაქტორს, ა. ს. სუვორინს, ამის შესახებ ულაპარაკნია ერთ სახელმწიფო მოხელესთან და ლაპარაკის საგანი შემდეგი ყოფილა:

„სერობო კრების“ ანუ პარლამენტის მოწვევა ფრიად რთული საქმეა; ბევრი საკითხი უნდა გადაწყდეს წინდაწინვე. ამისათვის მოწვეული უნდა იქმნას განსაკუთრებული სრულიქტიო კომისია, სადაც, მთავრობის მოხელეთა და არჩეულ პირთ გარდა, ისტორიკოსებიც და სხვა სპეციალისტებიც უნდა იყვნენ. საერობო კრების მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იქნება მოწვეული და რამდენი წარმომადგენელი ეყოლება იმპერიას. ეყოველივე წინდაწინვე უნდა იყოს მოსაზრებული. კრებაში უნდა მოყვანენ საუკეთესო პირები. რასაკვირველია, წინდაწინვე პარტიების აკეტება მოხდება, მთავრობაც თავის მხრით ფრთხილათ იქნება. კრებაში უთუოთ უნდა იყვნენ მიწათ-მოქმედთა, მიწათ-მფლობელთა, ვაჭრთა, მრეწველთა, მუშათა და აგრეთვე მეცნიერთა წარმომადგენელნი. თეორეტიკოსები პრესისშიაც საკმაოთ ბევრია; პრესისა თავისთავათც გაძლიერდება და გაღვენის იქონიებს საერო კრებაზე. რაც უფრო მეტ ადგილს ეუოლება წარმომადგენლები და რაც უფრო ბევრი იქნება ამითი რიცხვი, მით უმჯობესია საქმისათვის. კრებაზე, რასაკვირველია, უმეტესობა რუსების უნდა იყოს,—ამ მკვიდრთა, რომელთაც შექმნეს რუსეთის იმპერია. სამართლიანი იქნებოდა, ზოგიერთი განპირა ქვეყნები და ხალხები სულ გამოგვერიცხა და ასე გაგვეცალკევებინა, როგორც ჩრდილოეთ ამერიკაში ტერრიტორიებია განცალკევებული შტატებისაგან. ამ მხრით ჩვენი იმპერიის მდგომარეობა უფრო განსაწირია, ვიდრე ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და იტალიისა, სადაც ერთგვარი ეროვნება ცხოვრობს და კალონიებიც დაბნეული აქვთ სხვა-და-სხვა ქვეყნებში. ჩვენი კალონიები ერთათ არის მეტროპოლიასთან; ხალხიც ბევრია სხვა-და-სხვა. შესაძლებელია, რომ რუსეთის სერო კრებაში, გარდ ევროპისებურ პარტიებისა—კონსერვატორების, დემოკრატების, სოციალისტების—გაჩნდება ნაციონალური პარტიები: პოლონური, ლიტვური; მალორუსული, სომხური, თათრული, ქართული, ებრაული, ლტიშური და სხვა. ეს მძიმე მოვალეობა და საქმე გვაქვს, რომელიც ავსტრიას გვგონებს. ამაზე წინდაწინვე კარგათ უნდა ვიფიქრათ. საეროთ საერო კრებაში თანდასწრებულებიც უნდა იყვნენ, რადგან თანდასწრების საერთო საერობო ინტერესებიც აქვს და გარეშე მეურვეობათ ვერ დარჩება.

საჭირო იქნება ამ პერიოდისათვის რამდენიმე საარჩევნო ოლქათ გაიყოს და მხედველობაში იქმნას მიღებული სხვა-და-სხვა ერთა ურთიერთობა, ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული თვისებანი, იმ პირობით-კი, რომ რუსებს უპირატესობა ჰქონდეს. საერო კრებაში დაახლოებით თუთოთ რუსულ ერსე უნდა იყოს, ამაში გვრატერს დავთმობთ; ამიტომ არჩეულთ უთუოთ უნდა მოკეთხოს რუსულ ენის ცოდნა. ხოლო სწავლის ცენზი საჭირო არ არის. წერა-კითხვის არმცოდნე გლეხსაც იგივე უფლება უნდა ჰქონდეს, როგორც განათლებულს აღამიანს. დეპუტატთა რიცხვი შეიძლება 1500-მდე ავიდეს. ასეთ მრავალრიცხვობას არ უნდა შევუშინდეთ, რადგან საერო კრება შეიძლება პატარ-პატარა კრებებზე გაიყოს. გაზეთებში ჰაი-ოის აზრიც გამოითქვა, რომ არა ქრისტიანები არ უნდა იყვნენ კრებაშიო, მაგრამ ეს შეუწყნარებელია, რადგან მარტო მაჰმადიანების რიცხვი უდრის, მაგალითად, ქრისტიან ლატრანგთა და კათოლიკეთა (11%) რიცხვს.

**

ამავე საგანს ეხება გაზეთი „ნოვოსტი“, რომელიც ამბობს:

გაზ. „ნოვ. ვრ.“-ში წერენ: „ახლანდელი წეს-წყობილება ამას იქით აუტანელიაო“...

თუ კი იქ ამას ამბობენ, რას უნდა იფიქრონ გულწრფელმა, პატიოსანმა, სამშობლოსათვის თავდადებულმა კაცებმა?

ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, უბედურმა ომმა და უკანასკნელმა შინაურმა ამბებმა გაიღვიძა საზოგადო სინდისი და დაარწმუნა ყველა, რომ უნაყოფოა ყოველივე ის, რაც დღეს „რეფორმების“ სახელით გვწვდიან.

„მხოლოთ თავისუფალ ხალხს, თავის მიერ თავისუფალთ ამორჩეულ წარმომადგენელთა მოეხებით, შეუძლია იხსნას რუსეთი“...

ეს სიტყვები ყველას ენაზე აგერია დღეს.

მეცნიერი თუ მუშა ყველა ამას თხოულობს დღეს.

ამიტომ საკვირველი არ იქნება, თუ საერო კრება („ზემსკი სობორი“) მოხდა.

საკითხი მხოლოთ ის არის, რა უფლებები ექნება ამ საერო კრებას და როგორ იქნება იგი ამორჩეული?

უწინდელი საერო კრებები, ცხადია, დღეს აღარ გამოდგება.

ხალხმა თვით უნდა მიიღოს მონაწილეობა კანონმდებლობაში, განსხორციელოს სისრულით თავისი ნება.

თუ საერო კრება მოწვეულ იქმნება ბიუროკრატიულ მოხელეების პროგრამით, როგორც კრება „მცოდნე პირთა“,

უბრალო რჩევის მისაცემათ, თუნდ ერობათა წარმომადგენლობაც მოიწვიონ, ამგვარი კრება ვერ იქნება გამომხატველი საქვეყნო სურვილებისა, ვერ მოიზიდავს ნდობას.

თუ იქნება საერო კრება, უნდა იყოს ისეთი, რომ ქვეყანა ენდობოდეს.

და ეს შესაძლებელი იქნება მხოლოთ მაშინ, თუ მისი წევრები არჩეულ იქმნებიან სხვა-და-სხვა კუთხეში, მაზრებში, სოფლებში, პირდაპირ, თანასწორ და დახურულ კენჭის ურით.

თუ კრებაზე მხოლოთ გაჭარბა წოდების, ქალაქის და ერობების წარმომადგენლებს მოიწვევენ, ამას არ მოუვება სასურველი შემდეგი, რადგან ვერ გავიგებთ ქვეყნის ნამდვილ აზრს.

ერობებში ხმათანხა 90 პროცენტი თავად-აზნაურები არიან, საქალაქო სამართველობებში— მხოლოთ სახლის პატრონები...

ვისი-და წარმომადგენლები იქმნებიან საერობო კრებაზე? აზნაურები, ვაჭრები...

ნამდვილი ხალხი კი არ იქნება, ხალხის ხმას გურავინ ვერ გაიგონებს.

„ნოვოე ვრემიას“ ეშინიან, თუ ხსენებულის წესით იქმნენ მოწვეულნი საერო კრების წევრები, ურაები ააგებენ კრებასაო.

მაგრამ ასეთი სისულელე შეუძლიან თქვას მხოლოთ „ნოვოე ვრემიას“-ს, სხვას არავის“.

**

გაზ. „ნაშა ლნი“ არჩევს გაზ. „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომლის ლ. ლ. ტოლსტოის აზრს „საერო კრების“ წარმომადგენლობის შესახებ. ტოლსტოის აზრით, თითოეულს წოდებას თავისი წარმომადგენელი უნდა ყავდეს საერო კრებაში, „მაგ., თავად-აზნაურთა წოდებას, მოქალაქეთა, გლეხთა, სამღვდელოთა და სხვ. და სხვ.; ასე ყოფილა შვეიცარიაში და ჩვენშიაც ასე უნდა იყოსო. „ნ. დ.“-ს აზრით, ასეთი შეხედულება ყოვლად შეუწყნარებელია დღეს ჩვენში და გარდა ამისა დიდი განსხვავებაა ამ მხრივ შვეიცარიასა და რუსეთს შორისო.

„შვეიც სოციალ სოციალისტებში,—ამბობს გაზეთი,—შვეიცარიის წოდებანი წარმოადგენდენ ძლიერ პოლიტიკურ კორპორაციებს; შვეიცარის სეიმებს, რომელნიც შედგებოდენ ამ კორპორაციათა წარმომადგენლებისაგან, უხსოვარი დროიდან ქონდათ გადაწყვეტა სახელმწიფო და საზოგადო საქმეებზე. მაგალითად, 1720—1771 წლამდის ამ სეიმის, განაგებდა სახელმწიფო საშინაო და საგარეო პოლიტიკის საქმეებს, სეიმი ნიშნავდა უმაღლეს ადმინისტრაციის მოხელეებს, მოითხოვდა ანგარიშს სახელმწიფო სალაროს, რომელიც მხოლოთ ადმინისტრაციულებელი დაწესებულება იყო.

და მას შემდეგ, როდესაც გუსტავ III-მა განაძლიერა მეფის უფლება, როდესაც სეიმს ჩამოართვა ზოგიერთი უფლებანი, აი რას წერდენ წარმომადგენელნი თავად-აზნაურთა, მოქალაქეთა, სასულიერო წოდებისა და გლეხთა 1772 წლის „Regeringsformen“-ში:

„ჩვენ, დღეს აქ შეკრებილმა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, სჯარით ვცნით დაგვემტკიცებინა უოველთვე ესე დასამარებლათ წესიერების სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ჩვენის თავისუფლების და მშვიდობისთვის, აგრეთვე თავისუფლების და მშვიდობისთვის შინ დარჩენილ ჩვენთა ძმათა და უოველთა, გინც დაბადებულა და დაიბადება. ჩვენ ვცხადებთ ამით კვლავ, რომ საშინლათ გვეზიზღება მეფის თვითმპყრობელობა და გთქვათ ჩვენთვის დიდ ბედნიერებათ, ბატონებო და სასარგებლოთ, გიყოთ და გიცხოვროთ თავისუფლ, დამოუკიდებელ, კანონის-მდებელ წოდებებით და უნდა გვმოხდებოდეთ ამ კანონებს ძალიერი, მაგრამ კანონით შეზღუდული, მეფის ხელქვეთ; ამასთანავე ჩვენც და იგიც უნდა გიყოთ შეზღუდული და დაცვრუდნი კანონით, რომელსაც შეუძლიან გვიხსნას ჩვენ და ჩვენი საუკუნო სამშობლო განსაცდელთაგან ანარქიისა, თვითნებობისა, თვითმპყრობელობისა, არისტოკრატიისა და ოლიგარხიის მხრივ შთალი საზოგადოების საზიანოთ თვითოეულის მოქალაქის დასამძიმებლათ და შესწუხებლათ“.

სეიმის განსაკუთრებულმა დამწესებულმა კრებამ დაწესა 1809 წლის კონსტიტუცია; 1866 წ. სეიმმა დაწესა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც გააუქმა წოდებათა წარმომადგენლობა და შემოიღო საზოგადო-ევროპიული პარლამენტის მმართველობა. აი ის პოლიტიკური სკოლა, რომელშიაც განვლო შვეიციის წოდებებმა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. და ჩვენმა თავად-აზნაურობამ, მოქალაქეებმა, სოფლელებმა და სასულიერო წოდებამ—სად მიიღეს მათ თავისი პოლიტიკური აღზრდა? სად აქვთ მათ პოლიტიკური ტრადიციები?“.

აშკარაა, რომ დღეს წოდებათა წარმომადგენლობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება, ამან დიდი ხანია მოჰკამა თავის დრო; დღეს მხოლოთ მოქალაქეთა წარმომადგენლებზე შეიძლება ლაპარაკი.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

განცხადებანი.

თფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ბ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.

გ. გ. მალალაშვილი. შინაგანი, ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. ბულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი.— შინაგანი, და ნერვების: 12—1ს.

ქ. ქალი ე. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე.—ენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავათმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო დანომერი—5 მ.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.

ტელეფონი № 274.

საემაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით მცირე წლოვან და მოზარდილ ყრმათათვის.

თვეში ორჯელ, სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზარდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იწყება 1-ლ ნოემბრიდან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა—2 მან. 50 კ., ცალ-ცალკე—1 მ. 50 კ.; თვეში ღირს 40 კაპ. ხელის მოწერს შეუძლია თვეში თითო მანეთი შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზარდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდრეის ქ., № 5, სახლი ბახტაძისა, სადგომი მირიმ ივანეს ასულის დემურიანისა.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ“. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція журнала „Накадули“**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го февраля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. ნ. დიასამიძისა, სასახლის ქ.